პროლეტარიელებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

კომუნისტი

საქართველოს კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის, თბილისის კომიტეტისა და საქართველოს სსრ მშრომელთა დეპუტატების საბჭოების ორგანო

КОМУНИСТИ — ОРГАН ЦК и ТК КП ГРУЗИИ и СОВЕТОВ ДЕПУТАТОВ ТРУДЯЩИХСЯ ГРУЗИНСКОЙ ССР

გამოდის 37-ე წელი | № 180 (10574) | შაბათი, 4 აგვისტო, 1956 წ. | ფასი 20 კაპ.

ჩვენს დიად საშშობლოშე

გავაუმჯობესოთ სოფლის მუშრომელთა კინომომსახურება

კინო მშრომელთა კომუნისტური აღზრდის მძლავრი საშუალებაა. საბჭოთა კინოხელოვნების ნაწარმოებნი აცნობენ მაყურებლებს საბჭოთა ქვეყნის და უცხო ქვეყნების ცხოვრებას, ჩვენი სამეურნეო და კულტურული მშენებლობის მიღწევებს, საბჭოთა მეცნიერებისა და ტექნიკის წარმატებებს. კინო ემსახურება საბჭოთა ადამიანებში მაღალი მხატვრული გემოვნების, კეთილშობილური მორალური თვისებების გამომუშავებას.

კომუნისტური პარტია და საბჭოთა მთავრობა განუწყვეტლივ ზრუნავენ მშრომელთა მუდმივად მზარდი კულტურული მოთხოვნილებების დაკმაყოფილებისათვის, დიდ ყურადღებას აქცევენ კინოხელოვნების განვითარებას. პარტიის XX ყრილობამ დიდი ღონისძიებები დასახა კინოსურათების წარმოების გასაადიდებლად, მათი იდეურ-მხატვრული დონის ასამაღლებლად, კინოქსელის გასაფართოებლად, აგრეთვე ტელევიზიის კიდევ უფრო გასაუმჯობესებლად.

ღღითიდღე იზრდება სოფლის მოსახლეობის კულტურა, განუწყვეტლივ უმჯობესდება კოლმეურნეთა კეთილდღეობა. კინო მტკიცედ დამკვიდრდა მშრომელთა ფართო მასების ყოფაცხოვრებაში. ჩვენი რესპუბლიკის კინოქსელი, კომუნისტური პარტიისა და საბჭოთა მთავრობის ზრუნვის შედეგად, კულტურული მშენებლობის სხვა დარგებთან ერთად წლითიწლობით იზრდება და აფართოებს სოფლის მოსახლეობის კინომომსახურებას.

მეხუთე ხუთწლედის განმავლობაში საქართველოს სოფლის კინოქსელი გაიზარდა 268 კინოდანადგარით. თუ მეოთხე ხუთწლედის უკანასკნელ წელს სოფლად კინოქსელი მოემსახურა 2,6 მილიონ მაყურებელს, 1955 წელს — მეხუთე ხუთწლედის უკანასკნელ წელს, ეს რიცხვი 7,9 მილიონამდე გაიზარდა.

სულ უფრო უმჯობესდება აგრობიოლოგიური ცოდნის და სოფლის მეურნეობის მოწინავეთა გამოცდილების პროპაგანდა კინოს საშუალებით. მარტო გასულ წელს კოლმეურნეობებში, საბჭოთა მეურნეობებსა და მანქანა-ტრაქტორთა სადგურებში მოეწყო 3.523 კინოსეანსი და სასოფლო-სამეურნეო ფილმებით მომსახურება გაეწია 250 ათასზე მეტ მაყურებელს.

კინომაყურებელთა რიცხვი დიდად გაიზარდა ლაგოდეხის რაიონის სოფლებში. აქ დაწესებულია და ზუსტად სრულდება საკოლმეურნეო მოძრავი კინოდანადგარების მარშრუტთა გრაფიკი. კინოსეანსების მოწყობაში მონაწილეობას იღებენ სოფლის აქტივისტები. ამ რაიონში სახელი გაითქვეს კინომექანიკოსებმა გ. გალდავამ და ა. წიქარიშვილმა, რომლებიც ყოველთვიურად 30-ზე მეტ სეანსს აწყობენ და დიდი გადაჭარბებით ასრულებენ კინომომსახურების გეგმებს. დიდ წარმატებებს მიაღწიეს აგრეთვე კინომექანიკოსებმა ს. მურადაშვილმა (ზესტაფონის რაიონი), ვ. არბოლიშვილმა (ქარელის რაიონი) და სხვ.

მაგრამ კინოფიკაციის დარგში მოპოვებული წარმატებანი არ გვაძლევს უფლებას არ დავინახოთ სერიოზული ნაკლოვანებანი კინომომსახურების საქმეში, განსაკუთრებით სოფლად. სოფლის კინომაყურებელთა მომსახურების მიმდინარე წლის პირველი ნახევრის გეგმა ჩვენს რესპუბლიკაში შესრულებულია 86,5 პროცენტით. ზოგიერთ სოფელში კინოფილმებს იშვიათად უჩვენებენ. სწორედ ამის შედეგია, რომ ბევრ რაიონში ვერ სრულდება კინომომსახურების გეგმები. 1956 წლის პირველი ნახევრის გეგმა ვერ შეასრულა ზუგდიდის რაიონმა. ამ რაიონის მთელ რიგ სოფლებში მშრომელები თვეობით მოკლებული არიან კინომომსახურებას. ასეთივე მდგომარეობაა გორის, ლანჩხუთის, ლენტეხის და სხვა რაიონებში.

სოფლის კინოქსელს დიდი რეზერვები აქვს, მაგრამ ეს რეზერვები დღემდე გამოუყენებელია. ბევრი კინომექანიკოსი ჯერ კიდევ ვერ ასრულებს გეგმიან დავალებას, გულგრილად მუშაობს, ეფექტიანად ვერ იყენებს კინოტექნიკას. სოფლის სტაციონარული კინოდანადგარების დიდი ნაწილი მოქმედებს არაუმეტეს 10-12 დღისა თვეში და არ იყენებს კინოპარატურას მეზობელი სოფლებისა და საკოლმეურნეო ბრიგადების კინომომსახურებისათვის. კინომექანიკოსთა საგრძნობი ნაწილი დაბალხარისხოვნად უჩვენებს კინოფილმებს.

მოსახლეობის კინომომსახურების საქმის გასაუმჯობესებლად აუცილებელია მივაღწიოთ ამას, რომ არ დაუშვათ კინოდანადგართა გაცდენა კინომექანიკოსთა მიზეზით. დასახლებულ პუნქტებში, სადაც საკლუბო მუშაობა არ არის, უნდა მოეწყოს საზაფხულო მოედნები და აშენდეს კინოკამერები.

საქართველოს კინოქსელის მუშაკები ფართოდ გამოეხმაურნენ უკრაინის სსრ სოფლის კინოქსელის მუშაკთა მიმართვას მოძრავი და სტაციონარული კინოდანადგარების კინომექანიკოსებისა და მოტორისტებისადმი. ამას წინათ თბილისში გაიმართა მშრომელთა დეპუტატების რაიონული საბჭოს აღმასკომების კულტურის განყოფილებების გამგეთა, „კინოპროკატის“ ადგილობრივი განყოფილებების დირექტორთა და კინოქსელის მოწინავე კინომექანიკოსთა რესპუბლიკური თათბირი. თათბირმა მოიწონა უკრაინის კინოქსელის მუშაკთა ინიციატივა, მიიღო მათ მიერ სოციალისტურ შეჯიბრებაში გამოწვევა და თავის მხრივ მოუწოდა საქართველოს კინოქსელის მუშაკებს ფართოდ გაშალონ სოციალისტური შეჯიბრება პარტიის XX ყრილობის გადაწყვეტილებათა განუხრელად განხორციელებისათვის.

ჩვენი რესპუბლიკის კინოქსელის მუშაკებმა იკისრეს მთელი რიგი კონკრეტული ვალდებულებანი: მოსახლეობის კინომომსახურების 1956 წლის გეგმა შეასრულონ 20 დეკემბრისათვის, მოძრავ და სტაციონარულ კინოდანადგარებზე ამუშაონ არანაკლებ 24 დღისა და ჩაატარონ თვეში 30 სეანსზე მეტი, ყველა სოფელში, სადაც კი არის დაწყებითი და საშუალო სკოლა, მოსწავლეთათვის მოაწყონ კვირაში ერთი ან ორი სეანსი დღისით, სპეციალურად რეკომენდებული კინოფილმების ჩვენებით და სხვ.

რესპუბლიკის კინოქსელის კინომექანიკოსებმა, მოტორისტებმა და კინოდანადგართა სხვა მუშაკებმა, რომლებიც ჩაბმული არიან სოციალისტურ შეჯიბრებაში ნაკისრ ვალდებულებათა ვადამდე შესრულებისათვის, უნდა მიაღწიონ იმას, რომ თვითეული დანადგარი ასრულებდეს გეგმას, რეგულარული კინომომსახურება გაუწიონ ყველა სოფელს, გადაჭრით გაუმჯობესონ მშრომელთა კინომომსახურება.

დიდი ყურადღება უნდა მივაქციოთ სასოფლო-სამეურნეო და მეცნიერულ-პოპულარული კინოფილმების პროპაგანდას, რითაც მნიშვნელოვან წვლილს შეიტანთ პარტიის XX ყრილობის მიერ დასახული ამოცანების წარმატებით შესრულების საქმეში.

საქართველოს სსრ კულტურის სამინისტროს კინოფიკაციის სამმართველომ და „კინოპროკატის“ რესპუბლიკურმა კანტორამ უნდა გააფართოონ ფილმების ჩვენების პროგრამა, არ დაუშვან, რომ ახალი ფილმები დაგვიანებით იგზავნებოდეს სოფელ ადგილებში. ამოცანა ის არის, რომ სწრაფად აღმოვფხვრათ სერიოზული ჩამორჩენა სოფლის მოსახლეობის კინომომსახურების საქმეში.

ადგილობრივმა პარტიულმა და საბჭოთა ორგანიზაციებმა მუდმივი კონტროლი უნდა გაუწიონ რაიონული და საკოლმეურნეო კლუბების, მოძრავი კინოდანადგარების მუშაობას, ყოველმხრივ დაეხმარონ მათ, მიაღწიონ იმას, რომ ფილმები რაც შეიძლება მეტმა მაყურებელმა ნახოს. ყველა ზომა უნდა მივიღოთ, რათა გადაჭრით გავაუმჯობესოთ სოფლის მშრომელთა კინომომსახურება.

კიევი. უკრაინის დედაქალაქის საზოგადოებრიობა ემზადება იმისათვის, რომ ფართოდ აღნიშნოს დიდი უკრაინელი მწერლის, მეცნიერისა და საზოგადო მოღვაწის ივანე იაკობის-ძე ფრანკოს დაბადების 100 წლისთავი. საიუბილეო დღესასწაულის დღეებში ივანე ფრანკოს სახელობის მოედანზე კიევში დაიდგმება მწერლის მონუმენტური ბრინჯაოს ბიუსტი. კიეველი მოქანდაკეები ანატოლი ბელოსტოკაი და ოქსანა სუპრუნი ახლა ამთავრებენ მონუმენტზე მუშაობას.

სურათზე: ა. ე. ბელოსტოკაი და ო. ა. სუპრუნი სახელოსნოში მუშაობენ ი. ფრანკოს ქანდაკებაზე.

ფოტო ი. პაპისა. (საკადესის ფოტოქრონიკა).

ამუშავდა კუიბიშევის ჰიდროელექტროსადგურის მეოთხე აგრეგატი

სტავროპოლი (კუიბიშევის ოლქი), 1 აგვისტო. (საკადესი). დღეს საელექტროენერგიოდ გადაეცა და სამრეწველო დენის მოცემა დაიწყო კუიბიშევის ჰიდროელექტროსადგურის მეოთხე აგრეგატმა.

ადრე ამუშავებულმა სამმა აგრეგატმა უკვე გამოიმუშავა ნახევარ მილიარდამდე კილოვატ-საათი ელექტროენერგია. დამთავრდა ძირითადი სამონტაჟო სამუშაოები მეხუთე აგრეგატზე. იგი ამუშავებისწინა პერიოდში შედის.

ხარისხოვანი ჩაის ფოთლის დამზადება

1 აგვისტოსათვის სეზონის დაწყებიდან სულ რესპუბლიკაში მოკრეფილია 69.617,7 ტონა ჩაის ფოთოლი. ჩაის კრეფის წლიური გეგმა შესრულებულია 59 პროცენტით, ხოლო ივლისსა წინა თვეების დანაკლისის ჩათვლით — 67,4 პროცენტით.

ბათუმის რაიონში ჩაის ფოთლის კრეფის ივლისის დავალება წინა თვეების დანაკლისის ჩათვლით შესრულებულია 84 პროცენტით, ქობულეთის — 70,3, გალის — 70, ოჩამჩირის — 69,5, გულრიფშის — 107, სოხუმის — 49,5, გუდაუთის — 45,9, მარტვილის — 72,7, ჩოხატაურის — 99,8, ლანჩხუთის — 51,5, სამტრედიის — 58,2, წულუკიძის — 55,4, ქუთაისის — 43,8, წყალტუბოს — 89,2, ტყიბულის — 41, ცხაკაიას — 62,5, აბაშის — 60,2, გეგეჭკორის — 65,6, ზუგდიდის — 59,8, წალენჯიხის — 66, ჩხოროწყუს — 89, ხობის — 62,9, თერჯოლის — 85,2, ხოლო ზესტაფონის რაიონში — 67,1 პროცენტით.

დნეპროპეტროვსკის ოლქმა შეასრულა რძის დამზადებისა და შესყიდვის წლიური გეგმა

დნეპროპეტროვსკის ოლქის სოფლის მეურნეობის მშრომელებმა, რომლებიც ასრულებენ საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის XX ყრილობის ისტორიულ გადაწყვეტილებებს მეცხოველეობის პროდუქტების წარმოების გადიდების შესახებ, ვადამდე — 23 ივლისს შეასრულეს რძის დამზადებისა და შესყიდვის სახელმწიფო გეგმა, რაც დაწესებულია ოლქისათვის 1956 წელს.

სახელმწიფოს ჩაბარდა და მიეყიდა 73 ათასი ტონით მეტი რძე, ვიდრე გასული წლის ამავე თარიღისათვის.

საერთო წველადობა შარშანდელი წლის ამავე პერიოდთან შედარებით ერთიორად გადიდდა. ოლქის კოლმეურნეობებმა 100 ჰექტარ სასოფლო-სამეურნეო სავარგულებზე მიიღეს 120 ცენტნერი რძე, ხოლო თვითეულ საფურაქე ძროხაზე — 1.825 კილოგრამი.

ჩვენი სამშობლოს დედაქალაქ მოსკოვში

მშენებელთა შრომის შესანიშნავად

კარაჩაროვსკის მექანიკურ ქარხანაში (მოსკოვის ოლქი) დამზადებულია პირველი ოთხი კოშკურა მილებიანი ამწე „ბტკ-100“. მთავრდება კიდევ ორი ასეთი მექანიზმის აწყობა. მათ დამზადებაზე ერთნახევარ ჯერ ნაკლები ლითონი იხარჯება, ვიდრე ძველი კონსტრუქციის ამწეებზე. მათი დამზარებით შეიძლება აგურის ბლოკების, პანელისა და სხვა მასალებისაგან დამზადებული კედლების აწყობა. ამწე 15-სართულიანი სახლის სამალლზე სწევს 10 ტონა წონის ტვირთს.

მანქანათმშენებლებმა მთელი რიგი სხვა სიახლენიც შექმნეს. მაგალითად, ფხვიერი მასალების მისაწოდებლად გამოშვებულია ლითონის მილებიანი ტრანსპორტიორი. იგი შესაძლებელს გახდის დახრილი ან ჰორიზონტალური მილებით გადაიტანონ ალებასტრი, ცემენტი, კირი და სხვა მასალები.

საწარმოში აწყობილია საცდელი ნიმუში ღარისებრი ტრანსპორტიორისა აგურის ჰორიზონტალური მიმართულებით გადასადგილებლად საძირკვლის და შენობათა ქვედა სართულების ამოყვანის დროს, როცა ჯერ კიდევ არ შეიძლება ამწეების გამოყენება. აგური უწყვეტ ნაკადად მიდის, რასაც ბიძგს აძლევს განსაკუთრებული მოწყობილობა. იგი გადაადგილდება ასაგები შენობის ფასადზე 40 მეტრის მანძილზე.

დედაქალაქის თეატრების მსახიობები ყამირი მიწების მშრომელებთან

ოცდაათზე მეტი სპექტაკლი და კონცერტი გამართა ამ ზაფხულს ყაზახეთის სოფელ ადგილებში მოსკოვის სამხატვრო თეატრის მსახიობთა ბრიგადამ. მოგზაურობისათვის ბრიგადამ მოამზადა სპექტაკლი „გზა მშვიდობისა!“ და საკონცერტო პროგრამა. წარმატებით დაიდგა სცენა პიესიდან „ორი კაპიტანი“, რომელშიც მონაწილეობდა ა. მიხაილოვი — სანია გრიგორიევის როლის შემსრულებელი კავერინის რომანის მიხედვით შექმნილ კინოფილმში. საბჭოთა მეურნეობების, კოლმეურნეობებისა და მტს-ების მშრომელები მეგობრულად, გულთბილად შეხვდნენ მოსკოველ სტუმრებს.

ყამირი მიწების ათვისების რაიონებში იყვნენ მოსკოვის სხვა თეატრების მსახიობებიც. ოთხი ათასი კილომეტრი გაიარა ჩკალოვის ოლქში მცირე თეატრის ბრიგადამ, თორმეტი ათას ხუთასმა მაყურებელმა ნახა მისი გამოსვლები. სემიპალატინსკის ოლქში გამგზავრებისას კ. ს. სტანისლავსკის სახელობის დრამატული თეატრის მსახიობთა ჯგუფმა თან წაიღო სპეციალურად შექმნილი დასაშლელი სცენა, დეკორაციები, სინათლის აპარატურა. ამან შესაძლებლობა მისცა დაედგათ სპექტაკლი „ბალზამინოვის ქორწინება“ ყველგან — მტს-ში, საველ ე ბანაკში და სხვ. ორმოცდაათამდე სპექტაკლი უჩვენა ყარაგანდისა და აკმოლინსკის ოლქების მცხოვრებლებს დრამისა და. კომედიის საგასტროლო თეატრმა, რომელიც ამას წინათ შეიქმნა მოსკოვში.

ჩვენი მეგობრების წიგნები

თითქმის ყველა მოსკოველი, როცა გორკის ქუჩაზე გაივლის, საბჭოთა მოედნის ახლოს შეჩერდება № 15 სახლთან, წიგნებით სავსე მის უზარმაზარ ვიტრინასთან. შეჩერდება ერთი წუთით და არ შეიძლება არ შევიდეს შიგ. აქ ხომ ჩვენი მეგობრების—სახალხო დემოკრატიის ქვეყნების წიგნები იყიდება.

დილიდან საღამომდე გაცხოველებაა დედაქალაქის ამ უდიდეს წიგნის მაღაზიაში. აქ მოდიან მეცნიერები და სტუდენტები, მუშები და ინჟინრები, მასწავლებლები და მოსწავლეები, სამხედრო მოსამსახურეები.

აი დახლთან მიდის მასწავლებელი ნ. ა. ტარასევიჩი. მას აინტერესებს ჩეხოსლოვაკიაში გამოცემული ახალი მონოგრაფია ჩინურ ხელოვნებაზე. ამავე წიგნის ყიდვა უნდა ოფიცერ ნ. ი. სამოილენკოს. ფოტოგრაფიის ცნობარს, რომელიც გერმანიის დემოკრატიულ რესპუბლიკაშია გამოცემული, იძენს სტუდენტი ვ. პროშინი.

მაღაზიაში იყიდება ჩინეთში, გერმანიის დემოკრატიულ რესპუბლიკაში, პოლონეთში, უნგრეთში, ბულგარეთში, რუმინეთში, ალბანეთსა და სხვა ქვეყნებში გამოცემული 6 ათასამდე სახელწოდების წიგნი. საბჭოთა ადამიანებში დიდი პოპულარობით სარგებლობს სახვითი პროდუქცია, სახვაშვო და მეცნიერულ-ტექნიკური ლიტერატურა, გამოცემული გერმანიის დემოკრატიულ რესპუბლიკაში, წიგნები ხელოვნების, ისტორიის, ლიტერატურის შესახებ, რომლებსაც სახალხო ჩინეთი უშვებს, უნგრული ლექსიკონები ცოდნის სხვადასხვა დარგში, რომლებშიც განმარტებანი მოცემულია ხუთ ენაზე, და ბევრი სხვა. დიდი მოთხოვნილებაა იუგოსლავურ ლიტერატურაზე. 300 სახელწოდების წიგნებიდან, რომლებიც უკანასკნელ ხანს მიიღო მაღაზიამ, 250-მდე სახელწოდებისა მთლიანად გაიყიდა რამდენიმე დღის განმავლობაში.

სამხატვრო გამოფენა დედაქალაქის პარკებში

ხელოვნების ნაწარმოებთა პროპაგანდა მტკიცედ დამკვიდრდა დედაქალაქის პარკების ტრადიციაში. გორკის სახელობის კულტურისა და დასვენების ცენტრალური პარკის ერთ-ერთი საუკეთესო პავილიონი ახლა დათმობილი აქვს ქალაქ მოსკოვისა და მოსკოვის ოლქის ახალგაზრდა მხატვრების ნაწარმოებთა გამოფენას. წარმატება აქვს მოსკოველ კარიკატურისტთა ნამუშევრების გამოფენას. აქვე გაიხსნა შრომითი რეზერვების მოსწავლეთა და მუშაკთა სახვითი და გამოყენებითი ხელოვნების მეორე სრულიად საკავშირო კონკურსის 500 ნაწარმოების გამოფენა.

„სოკოლნიკის“ კულტურისა და დასვენების პარკში მიმსვლელნი ინტერესით ეცნობიან მხატვარ ა. პისარევის ნაწარმოებებს, მიძღვნილს ციმბირისადმი. ისინი ექსპონირებულია გამოფენის დარბაზში. ასზე მეტი სურათი და ეტიუდი მხატვარმა შექმნა ბაიკალზე და იმიერბაიკალში უკანასკნელი მოგზაურობის დროს.

საბჭოთა ახალგაზრდობის სრულიად საკავშირო ფესტივალისათვის სტალინის სახელობის კულტურისა და დასვენების ობმაილოვის პარკში მოწყობილია მოსკოვის ოლქის თვითმოქმედ მხატვართა ნამუშევრების გამოფენა. გამოფენაზე წარმოდგენილია ფესტივალისათვის მოეფენების, ქუჩებისა და სტადიონების გაფორმების ესკიზები, ეროვნული საკარნავალო კოსტიუმები, სურათები, რომლთა თემები დაკავშირებულია ახალგაზრდობის დღესასწაულთან. აქვე დიდი წარმატებით სარგებლობს მხატვარ ე. მანდელბერგის ლუმინესცენციურ-ფერწერითი დეკორაციული ნაწარმოებების გამოფენა.

1905-1907 წლების რევოლუციის აქტიურ მონაწილეთა სსრ კავშირის ორდენებით დაჯილდოების შესახებ

1905-1907 წლების რუსეთის პირველი რევოლუციის ორმოცდამეათე წლისთავთან დაკავშირებით რევოლუციურ მოძრაობაში აქტიური მონაწილეობისათვის სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის ბრძანებულებით დაჯილდოებულია 1905-1907 წლების რევოლუციის აქტიურ მონაწილეთა დიდი ჯგუფი, მათ შორის საქართველოს სს რესპუბლიკაში დაჯილდოებული არიან:

შრომის წითელი დროშის ორდენით

ალავიძე ალექსანდრე მეთოდეს-ძე
ანდღულაძე ერმილე ზაალის-ძე
ანთაძე ირაკლი მაქსიმეს-ძე
არუთინოვი ისაკ ზაქარიას-ძე
არუთინოვა მარიამ ივანეს ასული
ბადურაშვილი ალექსანდრე ექვთიმეს-ძე
ბენდელიანი ყაისარ ბესარიონის-ძე
ბილიხოძე კალისტრატე სიკოს-ძე
ვოლკოვი პეტრე პავლეს-ძე
გავალოვი სერგი გრიგოლის-ძე
გასიევი გერასიმე ბარძიმის-ძე
გვენცაძე კონსტანტინე გიორგის-ძე
გოგინაშვილი ივანე ნიკოლოზის-ძე
გოგოკური ლევან გაბრიელის-ძე
გულთვერდაშვილი გიორგი იოსების-ძე
გურეშიძე დომენტი ბართლომეს-ძე
ჯაჯანიძე პლატონ ალექსის-ძე
ჯინჭარაძე ილარიონ ლაზარეს-ძე
ჯიოევი ნესტორ პავლეს-ძე
დუმბაძე გრიგოლ ამბაკოს-ძე
იობაშვილი პავლე მარკოზის-ძე
ქაჯაია იასონ ალექსანდრეს-ძე
კალანდაძე ოლღა მარკოზის ასული
კვასხვაძე გიორგი ლეონტის-ძე
კვაჭანტირაძე ბესარიონ გრიგოლის-ძე
კეხინოვი ივანე ისაიას-ძე
კეტელეშვილი აღათი მაქსიმეს ასული
კოკუაშვილი ნიკოლოზ იოსების-ძე
მამალაძე ქიშვარდი მაქსიმეს-ძე
მამულაშვილი ვალიკო მაკარის-ძე
მანდრიცკი რომან ალექსანდრეს-ძე
მანჩხავა მელიტონ დიმიტრის-ძე
მასურაშვილი ფიდა ალექსის-ძე
მეგრელაძე ლეონტი ლუკას-ძე
შეგრელიშვილი სტეფანე ამბაკოს-ძე
მერკვილაძე ალექსანდრა ასლანის ასული
მურადოვი არშაკ ზაქარიას-ძე
მუჩაიძე ვასილ გაბრიელის-ძე
მჭედლიძე ილია მიხეილის-ძე
ნაცვალაძე თეიმურაზ ალექსის-ძე
პაპავა იოსებ კაკუს-ძე
ფირცხალაშვილი მატრონე გლახუნის ასული
ფხაკაძე დიმიტრი თომას-ძე
რომელაშვილი ელიზბარ სიმონის-ძე
რუსაძე მელენტი ოქროპირის-ძე
სულავა კირილე ბესარიონის-ძე
თიბილაშვილი ხატორ გაბრიელის-ძე
უგრეხელიძე თადეოზ ბეროს-ძე
ხეჩუმიანი ალექსანდრა ბოგდანის ასული
ხუციშვილი გიორგი ნიკოლოზის-ძე
წიქარიძე ბესარიონ მეთოდეს-ძე
ცინცაძე ეკატერინე დავითის ასული
ცინცაძე თევდორე კონსტანტინეს-ძე
ცქვიტინაძე ფარნა გიგოს-ძე
ჩოდრიშვილი თამარ ალექსანდრეს ასული
ჭოლოკავა იასონ მიხეილის-ძე
ჭუმბურიძე ვიქტორ ალექსანდრეს-ძე
ჩხენკელი რაფდენ მოსეს-ძე
ჩხიკვაძე დიომიდე დიანოსის-ძე
შავიძე ალექსანდრე ეგნატეს-ძე
შავიშვილი თევდორე ამბაკოს-ძე.

„რუსულ-აზერბაიჯანული ლექსიკონის“ პირველი ტომი

ბაქო. (საკადესი). აზერბაიჯანის მეცნიერებათა აკადემიის ნიზამის სახელობის ლიტერატურისა და ენის ინსტიტუტმა გამოუშვა ორტომიანი „რუსულ-აზერბაიჯანული ლექსიკონის“ პირველი ტომი. იგი შეიცავს 38 ათას სიტყვას. მთელი გამოცემა ნავარაუდევია 80-85 ათასი სიტყვისათვის.

ლექსიკონი წარმოადგენს აზერბაიჯანელი მეცნიერების — ენათმეცნიერების კოლექტივის მრავალი წლის მუშაობის შედეგს.

საჰაერო მაგისტრალზე



...აფრენიდან 20 წუთის შემდეგ თვითმფრინავი აკიდა 10 ათას მეტრ სიმაღლეზე. ჩვენს ქვემოთ ქათქათა ღრუბლებია და ღრუბელსა და ღრუბელს შუა ძლივს მოჩანს მიწა. კაბინაში თბილა, ხოლო მრგვალ ფანჯრებს იქით საშინელი სიცივეა, ყინვა 50 გრადუსს აღემატება.

გამყოლი ქალები საუზმეს დაატარებენ. ამოდენა სიმაღლეზე ყველას კარგი მადა აქვს. სიამოვნებით ჭამენ ხიზილალიან ბუტერბროდებს, ბიფშტექსს; ახალი ხილის კომპოტს.

თვითმფრინავზეა დიდი ჯგუფი ინჟინრებისა, რომლებმაც ეს შესანიშნავი ხომალდი შექმნეს სოციალისტური შრომის გმირის აკადემიკოს ა. ნ. ტუპოლევის ხელმძღვანელობით. აქ არიან მთავარი კონსტრუქტორის მოადგილე ლ. ლ. კერბერი, პროექტების განყოფილების უფროსი ს. მ. ეგერი, ლაბორატორიის უფროსი კ. ე. პოლიშჩუკი, თვითმფრინავის წამყვანი ინჟინერი ა. მ. ტეტერიუკოვი. მათთან ერთად მიფრინავენ სხვადასხვა ინსტიტუტების მეცნიერი მუშაკები. ისინი თვითმფრინავზე ამდენენ დაკვირვებებს, რომლებიც ხელს შეუწყობს მათ შექმნან კიდევ უფრო კარგი პირობები მგზავრებისათვის.

იმ დროს, როცა თვითმფრინავი მიჰქრის 10.000-11.000 მეტრ სიმაღლეზე, კაბინაში ისეთივე ჰაერია, როგორიც კავკასიის მთებში 2.500-3.000 მეტრ სიმაღლეზე. თვითმფრინავის ვენტილაციის სისტემა მუდამ უზრუნველყოფს სუფთა ჰაერის მოწოდებას.

მიწა არ მოჩანს. ჩვენს ქვემოთ ღრუბლების ზოლი თოვლით დაფარულ ტუნდრას წაგავს. ასე გეგონებათ, სადაც არის მარხილში შებმული ირმები გამოჩნდებიან.

გავიდა ერთი საათი. ჩვენს ქვემოთ ყაზანია. მაგრამ მას თითქმის ვერ ვხედავთ. მხოლოდ ოდნავ შესამჩნევ წერტილებად გაიელვეს ვოლგისპირეთის ამ დიდი ქალაქის სახლებმა.

7 საათსა და 42 წუთზე გავიარეთ სვერდლოვსკი. ჩვენ ურალის მთაგრეხილიც ვერ შევამჩნიეთ. ჩვენი ყვეყნის მეტალურგიულ რაიონის ზემოთ რომ ვფრინავთ, ეს გვაცნობა შტურმანმა, რომელიც განუწყვეტლივ ადევნებდა თვალს მიწას ლოკატორის საშუალებით.

არავინ არა ზის თავის ადგილზე. ჯგუფ-ჯგუფად გროვდებიან სალონში, სამგზავრო კაბინაში. მხიარული და ლაღი საუბარია. მოჭადრაკენი გატაცებით ეჯიბრებიან ერთმანეთს და ალბათ ისტორიაში არ ყოფილა შემთხვევა, რომ სტრატოსფეროში ამდენი შამათი მიეღოთ ადამიანებს.

მაგრამ აი ღრუბლებს შუა გამოჩნდა ომსკი. მის შემდეგ, რაც მოსკოვიდან გამოვფრინდით, 2 საათი და 40 წუთი გასულა. ძირს ვეშვებით.

ხანმოკლე დასვენება. ვათვალიერებთ თვითმფრინავს და ისევ მივფრინავთ. შორს ქვევით ვტოვებთ ირტიშს და მის ნაპირებზე მდებარე ქალაქს. მიწაზე ვხედავთ თვითმფრინავისა და ღრუბლების ჩრდილებს. გადავუფრინეთ კულუნდის ველს, წინ არის ირკუტსკი.

5 საათისა და 50 წუთის შემდეგ საჰაერო ხომალდი ეშვება დანიშნულების ადგილზე. მოსკოვიდან ირკუტსკში მატარებლით წამოსულნი ხალხი აქ მხოლოდ შეექვსე დღეს მოვა.

ღილით, მოსკოვის დროით 7 საათზე ჩვენ უკან მოვფრინავთ. თითქმის 10.000 კილომეტრია გავლილი 12 საფრენ საათში. სასინჯი სამგზავრო რეისი წარმატებით დამთავრდა. ერთხელ კიდევ დადასტურდა ახალი რეაქტიული თვითმფრინავის მაღალი საფრენოსნო თვისებები.

სურათებზე:

№ 1. „ტუ-104“ მარკის თვითმფრინავის სალონი ფრენის დროს.

№ 2. მგზავრები ფრენის დროს ესაუბრებიან დამრიგებელ ბილოტს კ. საპელკინს (მარცხნივ).

№ 3. გამყოლი ტ. მაკუროვა თვითმფრინავის სამზარეულოში საუზმეს ამზადებს.

ტექსტი და ფოტოსურათები საკადესის სპეციალური ფოტოკორესპონდენტების ვ. მასტიუკოვისა და ა. სოფიისკისა.

(საკადესის ფოტოქრონიკა).

საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტისა და სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოსაგან

საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტი და სსრ კავშირის მინისტრთა საბჭო დიდი მწუხარებით იუწყებიან, რომ 1956 წლის 2 აგვისტოს მძიმე ავადმყოფობის შემდეგ გარდაიცვალა ამხანაგი

ივანე ისიდორეს-ძე ნოსენკო —

სსრ კავშირის გემსაშენი მრეწველობის მინისტრი, საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის წევრობის კანდიდატი, სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს დეპუტატი, სსრ კავშირის გემსაშენი მრეწველობის ერთ-ერთი გამოჩენილი ორგანიზატორი.

საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტი

სსრ კავშირის მინისტრთა საბჭო

ზექნიკის სრულად გამოყენებით, კაჭიოსანი და თავდადებული შრომით უზრუნველყოთ მოსავლის უდანაკარგოდ აღება

★ ★ ★

გულდამშვიდებული ხელმძღვანელები და მომცდარი ზექნიკა

სიტყვა სხვაა, საქმე სხვა...

საგარეჯოელმა კოლმეურნეებმა და მექანიზატორებმა პირობა დადეს, რომ ათ სამუშაო დღეში პურეულს მომკიდნენ 13.972 ჰექტარზე. მაგრამ მათს სიტყვასა და საქმეს შორის დიდი ზღვარი აღმოჩნდა. 15 სამუშაო დღეში მოსავლის აღების გეგმა შესრულებულია მხოლოდ 80,1 პროცენტით.

ამის მიზეზია მკის ნელი ტემპი. რაიონში ყველა კომბაინს სრული დატვირთვით რომ ემუშავნა და მთელ რიგ კოლმეურნეობებსაც შრომა კარგად მოეწესრიგებინათ, აქამდე მკა მთლიანად იქნებოდა დამთავრებული. სოფელ პატარძეულის კოლმეურნეობას ყველა შესაძლებლობა ჰქონდა მოსავლის აღება 10 სამუშაო დღეში დაემთავრებინა. მაგრამ მან ეს შესაძლებლობანი როდი გამოიყენა. 7 კომბაინმა 13 სამუშაო დღეში ამ კოლმეურნეობაში მხოლოდ 895 ჰექტარი მომკა (გეგმის 58 პროცენტი). ეს იმით აიხსნება, რომ როგორც კოლმეურნეობის გამგეობა, ისე სართიჭალის მტს-ის დირექცია ურიგდებიან ბანქანის მოცდენის შემთხვევებს. კომბაინერ ი. ბურდულს 18 დღეში თვითმავალი კომბაინით მოსავალი აღებული აქვს 44 ჰექტარზე. ასევე ცუდად იღებენ მოსავალს კომბაინერები ნ. ბუჯიაშვილი და გ. აბელაშვილი.

სართიჭალელ კოლმეურნეებს პურეული მოსამკალი აქვთ 2.450 ჰექტარზე. მაგრამ ამ სამუშაოს შესასრულებლად ნელა მუშაობენ. კომბაინერები კ. თავთაველი და გ. ზუმბაძე ხშირად უქმად დგანან. თვითეული მათგანის დღიური მაჩვენებელი მხოლოდ 1-3 ჰექტარია. ასეთი შემთხვევები სართიჭალის მტს-ში ხშირია. სწორედ ამის შედეგია ის, რომ ამ მტს-ის ზონის კოლმეურნეობებში 12 სამუშაო დღეზე მეტია, რაც მოსავალს იღებენ 28 კომბაინით, მკის დავალება კი შესრულებული აქვთ მხოლოდ 73,1 პროცენტით.

მანქანებს სრული დატვირთვით ვერ იყენებენ აგრეთვე ივრის მტს-ში.

— 9 დღეა, რაც ნაწილების დაზიანების გამო მანქანა უქმად დგას, — აცხადებს სოფელ კრასნოგორსკის კოლმეურნეობაში მომუშავე კომბაინერი პ. რემეზოვი, — მტს-ის დირექტორი შ. გოგიტაშვილი დაგვპირდა კომბაინისათვის ნაწილების გამოგზავნას. გაღის დღეები, ჩვენი დამხმარე კი არავინ ჩანს. ასეთი ფაქტები აქ გამონაკლისი როდია.

„არა უშავს რა“

— რა მდგომარეობაა დანაკარგების თავიდან აცილების მხრივ თქვენი ზონის კოლმეურნეობებში?, — შევეკითხეთ სართიჭალის მტს-ის დირექტორს აბხ. შ. კახაიას და პარტიის რაიკომის მდივანს სართიჭალის მტს-ის ზონაში ამხ. ი. ჯანგირაშვილს.

— არც ისე ცუდად. პატარძეულის, სართიჭალის, ხაშმის და სხვა კოლმეურნეობებში კარგად მუშაობენ თავთავების აკრეფაზე. — ასე გვიპასუხეს და თანაც დასძინეს, პურეულის დანაკარგების აღსაკვეთად ყოველდღე ასობით მოსწავლე მუშაობსო.

სამწუხაროდ, ფაქტები სულ სხვას მეტყველებენ. სოფელ პატარძეულის კოლმეურნეობის ნაკვეთი, რომელზეც თავთავები მემინდვრეობის მესამე ბრიგადის (ხელმძღვანელი შ. ოქროცვარიძე) წევრებმა აკრიფეს, ბრიგადირმა უკვე ჩაიბარა და შრომადღეები დაურიცხა კოლმეურნეებს. მაგრამ ამ ნაკვეთის ერთ კვადრატულ მეტრზე დარჩენილი იყო 7 თავთავი, რაც ჰექტარზე 3 ფუთ პურს შეადგენს.

—არა უშავს რა, — გულდამშვიდებით აცხადებს კოლმეურნეობის თავმჯდომარე შ. უნაფქოშვილი. — ეს მაინცდამაინც დიდი დანაკარგი არ არის.

სოფელ სართიჭალის კოლმეურნეობის თავმჯდომარე ა. დემეტრაძე გვარწმუნებდა, რომ მომკილ ნაკვეთში ერთ ცალ თავთავს ვერ ვნახავდით. სამწუხაროდ, მისი სიტყვა არ გამართლდა. თითქმის ყველგან აღებულ ნაკვეთზე ყოველ კვადრატულ მეტრზე ვნახეთ 6-7 თავთავი.

პურეულის დიდი დანაკარგებია აგრეთვე ივრის მტს-ის ზონის კოლმეურნეობებში.

ზოგან პურეულის დანაკარგების დასაფარავად აშკარა ბოროტებას სჩადიან. სოფელ ჩაილურის ორჯონიკიძის სახელობის კოლმეურნეობამ 30 ჰექტარი ნაკვეთი ანეულად ისე მოხნა, რომ თვითეულ კვადრატულ მეტრზე დარჩენილი იყო 15 ცალი თავთავი. აქვე ნაკვეთის ნაპირები სიგანით ნახევარი და სიგრძით 80 მეტრი მთლიანად ამოუმკელი იყო. ეს ხომ აშკარა ბოროტებაა, თუმცა იგი ოდნავაც არ აღელვებს კოლმეურნეობის თავმჯდომარეს გ. ქევხიშვილს და საგარეჯოს მტს-ის დირექტორს მ. ბეჭაურს. საერთოდ რაიონში დანაკარგებს აღსაკვეთად ცუდად იბრძვიან. უკანასკნელ დღეებში მინდვრად იშვიათად შეხვდებით მოსწავლეებს, რომ მუშაობდნენ თავთავის აკრეფაზე. თუ ასე გაგრძელდა, წელს საგარეჯოს რაიონში 13.972 ჰექტარ ფართობზე დაკარგავენ 26 ათას ფუთზე მეტ პურს.

ჩრდილში არხეინად წამოწოლილნი

ბევრგან პურის მკას რომ მორჩებიან, მოსავლის აღებას დამთავრებულად თვლიან. სწორედ ამან გამოიწვია ის, რომ მინდვრად კალოებზე გორებად ყრია გაუწმენდავი მარცვალი. ამ სამუშაოზე სუსტად იყენებენ მანქანებს. სოფელ პატარძეულის კოლმეურნეობის საველე საწყობში (გამგე ა. ოქროცვარიძე) ათეულ ტონობით ყრია გაუწმენდავი მარცვალი. აქ ყოველდღიურად 20-30 კოლმეურნეა. ისინი მარტო მარცვლის დაცლაზე მუშაობენ, დანარჩენ დროს უქმად არიან და მონაწილეობას არ იღებენ მარცვლის წმენდაში.

— მარცვლის ხელით წმენდაზე კოლმეურნეებს არ ვამუშავებთ. აგერ ახლოს, მეორე კალოზე, დღეს მორჩება მუშაობას მანქანა „ვიმი“ და ხვალ ამ კალოზე დავიწყებთ მარცვლის წმენდას, — განაცხადა კოლმეურნეობის თავმჯდომარემ შ. უნაფქოშვილმა.

გამოირკვა, რომ მეორე კალოზე მარცვლის საწმენდი მანქანა „ვიმი“ მთელ დღეს უქმად იდგა. მემანქანე ლ. გიუნაშვილს ჩრდილში ეძინა, ხოლო კოლმეურნეობის პარტიული ორგანიზაციის მდივანი გ. მთვრალაშვილი გულდამშვიდებით შესცქეროდა ამას. მემანქანემ განაცხადა, აბა რა ვქნა, სამუშაო არ მაქვსო (!).

ასეთსავე ფაქტებს ვხვდებით სოფელ სართიჭალის XIX პარტყრილობის სახელობის კოლმეურნეობაში. აქ მინდვრად მოწყობილ 16 კალოზე 800 ტონამდე გაუწმენდავი მარცვალი ყრია. კოლმეურნეებს მინდვრის კალოებზე მარცვლის წმენდაზე არ ამუშავებენ.



მოსავლის აღებასთან ერთად კოლმეურნეები და მექანიზატორები ვალდებული არიან იმუშაონ ნამჯის შეგროვებაზე, მის დაზვინვაზე და ნაწვერალზე სიმინდის თესვაზე. სამწუხაროდ, აქაც აშკარა უდარდელობას იჩენენ. რაიონში აღებული 11.184 ჰექტარიდან ნამჯის შეგროვების გეგმა შესრულებულია მხოლოდ 17,5 პროცენტით. ასევე ცუდად მიმდინარეობს ნამჯის დაზვინვა და ნაწვერალზე სიმინდის თესვა.

საყოველთაოდ ცნობილია, რომ მოფიქრებული მასობრივი პოლიტიკური მუშაობა მტკიცე სამეურნეო მიღწევათა საფუძველია. ახლა, როცა სოფლად გაშლილია მოსავლის აღება, აგიტატორის დამაჯერებელ სიტყვას დიდი მნიშვნელობა აქვს. მაგრამ რაიონის მთელ რიგ კოლმეურნეობებში ამას რიდი უწევენ ანგარიშს. სოფლების სართიჭალის, პატარძეულის, ხაშმის და სხვა კოლმეურნეობების მინდვრებში ვერსად ვერ შეხვდებით საველე გაზეთს. აგიტატორები ნ. ბურდული, მ. ლალიაშვილი, მ. ყუშიტაშვილი, ს. გონჭატაშვილი, გ. ჩეკურაშვილი, ს. გენგაშვილი მინდვრის იშვიათი სტუმრები არიან. საერთოდ სააგიტაციო-მასობრივი მუშაობა მთელ რიგ კოლმეურნეობებში ჩაშლილია. ზოგან აგიტპუნქტი ფორმალურად არსებობს. პარტიის საგარეჯოს რაიკომის პროპაგანდისა და აგიტაციის განყოფილების გამგის ამხ. ა. სიხჯიშვილის აზრით, მოსავლის აღების დღეებში სააგიტაციო-მასობრივი მუშაობა კარგად არის „მოწყობილი“. მას კიდევაც გაუკვირდა და განაცხადა:

—რა მოუვიდათ, ამ სამი დღის წინათ სანიმუშოდ მუშაობდნენ (!).

განა ასეთი მუშაობით შეიძლება პურეული სწრაფად და უდანაკარგოდ ავიღოთ? საინტერესოა რას ფიქრობენ ამის შესახებ პარტიის საგარეჯოს რაიკომი (მდივანი ამხ. ა. ქემოკლიძე) და რაისაბჭოს აღმასკომი (თავმჯდომარე ამხ. ს. ფანოზიშვილი)?

შ. ჯოჯუა,
„კომუნისტის“ სპეც. კორესპონდენტი.

მოსავლის აღების პირველ დღეებში

ახალციხე. (**ტელეფონით „კომუნისტის“ კორ.**). რაიონის კოლმეურნეობები მასობრივად შეუდგნენ თავთავიანი მარცვლეული კულტურების მოსავლის აღებას. უკვე მომკილია 500-მდე ჰექტარი. ორგანიზებულად იღებენ მოსავალს სოფელ ვალეს მახარაძის სახელობის კოლმეურნეობაში, სადაც მოსამკელია 190 ჰექტარი პურეული. აღებული პირველი 35 ჰექტარი ფართობის თვითეულ ჰექტარზე მოსავალმა 20 ცენტნერს მიაღწია. ამ კოლმეურნეობამ სახელმწიფოს პირველ დღეებშივე ჩააბარა ათი ტონა კარგი ხარისხის მარცვლეული.

ქვემო სხვილისის ორჯონიკიძის სახელობის კოლმეურნეობაში უკვე მომკილი 25 ჰექტარიდან საშუალოდ ჰექტარზე მიღებულია 14 ცენტნერამდე მარცვალი. კომბაინერები და კოლმეურნეები შრომობენ 150 ჰექტარზე მოსავლის მოკლე ვადებში ასაღებად.

ახალციხელ მექანიზატორთა და კოლმეურნეთა გადაუდებელი ამოცანაა ყოველი ღონისძიებით უზრუნველყონ თავთავიანი მარცვლეული კულტურების მოსავლის სწრაფად და უდანაკარგოდ აღება, წარმატებით შეასრულონ სახელმწიფოსათვის პურის ჩაბარების გეგმა.

მკაში დაწინაურებულნი

ახმეტის რაიონის კოლმეურნეობებში დასასრულს უახლოვდება თავთავიანი მარცვლეული კულტურების მოსავლის აღება. 1 აგვისტოსათვის 6.836 ჰექტარიდან მომკილია 5.726 ჰექტარი.

მოსავლის აღება კარგად მოაწყეს რაიონის მთელმა რიგმა კოლმეურნეობებმა. ქისტაურის ორჯონიკიძის სახელობის კოლმეურნეობამ პურეულის მკა დაამთავრა 350 ჰექტარზე და საშუალოდ ჰექტარზე მიიღო 15 ცენტნერი მარცვალი ნაცვლად გეგმით გათვალისწინებული 10 ცენტნერისა. სახელმწიფოსათვის უკვე ჩაბარებული აქვს 107 ტონა ხორბალი. მოკლე დროში დაამთავრეს მოსავლის აღება ქვემო ალვანის ლენინის სახელობის კოლმეურნეობაში. აქ სულ მომკილია 550 ჰექტარი და საშუალოდ ჰექტარზე მოსავალმა 13,5 ცენტნერს მიაღწია. ამასთან ერთად მთლიანად შესრულებულია სახელმწიფოსათვის პურის ჩაბარების გეგმა.

მაგრამ ზოგან არის მოსავლის აღებისა და მარცვლის გაწმენდის გაჭიანურების ფაქტები. ეს ითქმის ზემო ალვანის სტალინის სახელობის კოლმეურნეობაზე. სოფელ ქორეთის მოლოტოვის სახელობის კოლმეურნეობაში გვიან დაიწყეს მარცვლეულის გაწმენდა და ახლაც ნელი ტემპით მიმდინარეობს სახელმწიფოსათვის პურის ჩაბარება.

ახლა ამოცანა ის არის, რომ მთელი ძალები დავრაზმოთ შემჩნეულ ნაკლოვანებათა გამოსასწორებლად, სწრაფად დავამთავროთ მოსავლის აღება, ამთავითვე სანიმუშოდ მოვემზადოთ საშემოდგომო თესვისათვის. (**„კომ.“ კორ.**).

თბილისი. უნივერსიტეტის ქუჩის ხედი ვაკის ახალი პარკიდან. ფოტო შ. ჩხეტიანისა.

რესპუბლიკის დედაქალაქის ახალშენებანი

ყოველწლიურად იზრდება და ლამაზდება საქართველოს დედაქალაქი თბილისი. მთაწმინდის პლატოდან ხელისგულივით მოჩანს ქალაქის ვრცელი პანორამა მისი მონუმენტური შენობებით, ფართო ნაპიროებით, პროსპექტებით, მოედნებით, მწვანე ბაღებითა და პარკებით.

ქალაქი ახალშენებათა ხარაჩოებია. შენდება მრავალსართულიანი საცხოვრებელი სახლები და კულტურულ-საგანმანათლებლო დაწესებულებათა შენობები, გაჰყავთ ახალი ქუჩები. თბილისში ახლა 200 სამშენებლო მოედანია.

5 კილომეტრზეა გადაჭიმული მტკვრის მარცხენა მხრის სანაპირო ქუჩა. მთელ ამ მანძილზე მას ამშვენებს თლილი ბაზალტის პარაპეტი. მდინარის მარჯვენა მხრის სანაპიროსთან ერთად იგი ქმნის ხილამაზით შესანიშნავ სანახაობას. ახლა აქ შენდება ქალაქში ერთ-ერთი უდიდესი, 200-ბინიანი კომფორტული საცხოვრებელი სახლი, საქართველოს სსრ კულტურის სამინისტროს დიდი საცხოვრებელი სახლი და საბინაო მშენებლობის სხვა ობიექტები.

თბილისის სხვადასხვა რაიონში ამჟამად შენდება 117 მრავალსართულიანი და მრავალი მცირესართულიანი საცხოვრებელი სახლი. ეს ერთხელ კიდევ მოწმობს იმ დაუცხრომელ მზრუნველობას, რომელსაც მოსახლეობის საყოფაცხოვრებო პირობების გაუმჯობესებისათვის იჩენენ კომუნისტური პარტია და საბჭოთა მთავრობა.

წელს განვლილ თვეებში რესპუბლიკის დედაქალაქის მშრომელებმა უკვე მიიღეს 18 ათას კვადრატულ მეტრზე მეტი საცხოვრებელი ფართობი. ნათელ, ვრცელ ბინებში შესახლდა მანქანათმშენებელთა, რკინიგზელთა, კვების მუშაკთა ასობით ოჯახი. გათვალისწინებულია წლის ბოლომდე საექსპლოატაციოდ გადაეცეს 50 ათას კვადრატულ მეტრამდე საცხოვრებელი ფართობი.

მტკვრის ხეობაში მოქცეული თბილისი ვეღარ ეტევა თავის ძველ საზღვრებში. იგი წლითიწლობით ფართოვდება სიგრძე-სიგანით, ახალ, მომიჯნავე სივრცეებს იკავებს. საბურთალოს რაიონი რამდენიმე ათეული წლის წინათ ქალაქის მიყრუებულ ადგილად იყო მიჩნეული. ახლა აქ გაშენებულია მთელი უბნები, მიმდინარეობს საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის ქალაქის მშენებლობა, რომელიც შედგება 38 კორპუსისაგან. აქ უკვე დამთავრდა საშენებლო საქმის ინსტიტუტის ლაბორატორიის შენობა, მალე საექსპლოატაციოდ გადაეცემა ენერგეტიკის, ფიზიკისა და საშენებლო საქმის ინსტიტუტის კორპუსები.

დიდად შეიცვალა ჩვენი თბილისის თვალწინ ვაკე. აქ თითქმის არ არის ისეთი ქუჩა, სადაც ახალშენება არ იყოს. მთავარ მაგისტრალზე — უნივერსიტეტის ქუჩაზე აშენდა ზოოვეტერინარული ინსტიტუტის, ფიზიკური კულტურის ინსტიტუტის შენობები. ფალიაშვილის და არაყიშვილის ქუჩებს ორივე მხრიდან შესანიშნავი არქიტექტურული ანსამბლები ამშვენებენ.

თბილისის ლენინის სახელობის სამრეწველო რაიონში მთავრდება ფართოეკრანიანი კინოთეატრის მშენებლობა, რომელსაც ექნება ორი დარბაზი 600 მაყურებლისათვის. მალე მწყობრში ჩადგება ქრონიკალური ფილმების კინოთეატრი ორჯონიკიძის რაიონში. ახალი სასწავლო წლისათვის საექსპლოატაციოდ გადაეცემა ახალი სასკოლო შენობები.

რეკონსტრუირებულ მაგისტრალზე—მელიქიშვილის ქუჩაზე ყურადღებას იპყრობს ლამაზი ხუთსართულიანი შენობა, რომლის მოპირკეთება ახლა წარმოებს ეკლარის თეთრი ქვით. იქ მოთავსდება ახალი სასტუმრო, რომელსაც ექნება 128 ნომერი, რესტორანი, კაფე, საყოფაცხოვრებო მომსახურების კომბინატი თავისი სახელოსნოებით. დაიწყო მოწყობილობის მონტაჟი სატელევიზიო ცენტრში. წლის ბოლოს თბილისელი მშრომელები ნახავენ პირველ ადგილობრივ სატელევიზიო გადაცემებს.

გაჰყავთ ახალი მაგისტრალი, რომელიც ვარაზისხევით უმოკლესი გზით შეაერთებს საბურთალოსა და ვაკეს, წარმოებს ქუჩების კეთილმოწყობა. თბილისის წყალსაცავის ბაზაზე შენდება ახალი წყალსადენი, რომელიც სულ მოკლე დროში უნდა ამუშავდეს. თბილისი ფართოვდება სამგორის სარწყავი სისტემით გაცოცხლებული ახალი ფართობების მიმართულებითაც.

წამოიზარდნენ ჩვენი დედაქალაქის ირგვლივ სერებზე ნარგავთა მასივები, ორთაჭალიხესის კაშხალმა წყალსაცავი გახადა მტკვარი ქალაქის ფარგლებში.

დამშვენდა და თანდათან კიდევ უფრო მშვენდება ჩვენი ქალაქი.

ჯყიბულში შეასრულეს კონცენტრაციის გამოშვების დავალება

ტყიბული. (**საკ. კორ.**). ტყიბულის ქვანახშირის გამამდიდრებელი ფაბრიკის კოლექტივმა, რომელიც მეშახტის დღისათვის უკეთესი მაჩვენებლების მოპოვებაში ტყვარჩელელ გამამდიდრებლებს ეჯიბრებიან, საგრძნობი გადაჭარბებით შეასრულეს ქვანახშირის კონცენტრატის გამოშვების შვიდი თვის გეგმა და 1955 წლის შესაბამის პერიოდთან შედარებით ამ პროდუქციის გამოშვება 31,5 პროცენტით გააოდიდეს.

ტექნოლოგიური პროცესების გაუმჯობესებისა და დანაკარგებთან ბრძოლის გაძლიერების შედეგად გამამდიდრებელი ფაბრიკის კოლექტივმა წელს განვლილ თვეებში 330 ათას მანეთზე მეტი თანხის ეკონომია მიიღო.

ტყიბულის ქვანახშირის გამამდიდრებლებს ნაკისრი ჰქონდათ, რომ წლის ბოლოსთვის გეგმის გადამეტებით მიეცათ საქართველოს მეტალურგებისათვის 4.000 ტონა კონცენტრატი. მეშახტის დღის აღსანიშნავად გამამდიდრებლებმა იკისრეს ეს ვალდებულება შეასრულონ 26 აგვისტოსათვის.

მეცნიერი მეაბრეშუმეები

მეაბრეშუმეობას ადამიანები უძველესი დროიდან იცნობენ. მისი გავრცელება პირველად დაიწყო ჩინეთში, ხუთი ათასი წლის წინათ. აბრეშუმის დამზადების ხელოვნება იქ ითვლებოდა სახელმწიფო საიდუმლოებად, რომლის გამჟღავნებელი სიკვდილით ისჯებოდა. გადმოცემის მიხედვით, ეს საიდუმლება გასცა ჩინეთის ერთ-ერთი იმპერატორის ქალიშვილმა, რომელიც ცოლად გაჰყვა უცხოელს და თავისი თმით გაიტანა აბრეშუმის ჭიის თესლი. სხვა გადმოცემით, აბრეშუმის ჭიის თესლი ვენეციელმა მისიონერებმა თავიანთ კვერთხში დამალეს და ჩინეთიდან ისე გაიტანეს.

დროთა განმავლობაში გზას იკვლევდა მეაბრეშუმეობა და მან მიაღწია იაპონიას, ინდოეთს, სპარსეთს, საქართველოს...

ქართული აბრეშუმი! ძველთაგანვე მოდის მისი დიდება. იგი გადატანილია სიმღერებში, ხალხურ თქმულებებში. რამდენიმე საუკუნის განმავლობაში მეაბრეშუმეობა თაობიდან თაობაში გადადიოდა. აბრეშუმი დიდ როლს ასრულებდა სხვა ქვეყნებთან საქართველოს ვაჭრობაში. ქართველ ოსტატთა ხელით დამზადებული აბრეშუმის ნაზი ქსოვილები დიდი პოპულარობით სარგებლობდა. ცამეტ საუკუნეზე მეტია საქართველოს მოსახლეობა მისდევს მეაბრეშუმეობას.

მეჩვიდმეტე საუკუნეში ირანის შაჰმა აბასმა საქართველოში ვენახებთან ერთად გაკაფა თუთის ხეებიც. მაგრამ ფესვებმა კვლავ ამოიყარეს... კვლავ გახმიანდა ქართული აბრეშუმის სახელი ხმელთაშუა ზღვის ნაპირებზე, აღმოსავლეთის ქვეყნების ქალაქებში...

მაგრამ მხოლოდ საბჭოთა ხელისუფლების წლებში დაადგა მეაბრეშუმეობა აღორძინებისა და განუხრელი აღმავლობის ნამდვილ გზას, გადაიქცა სოფლის მეურნეობის ერთ-ერთ მნიშვნელოვან დარგად, რომელიც ხელს უწყობს კოლმეურნეთა კეთილდღეობის ზრდას. დიდად გაიზარდა აბრეშუმის პარკის მოსავლიანობა და ამაღლდა მისი ხარისხი, საგრძნობლად შემცირდა აბრეშუმის ჭიის გამოკვების პერიოდი, საქართველოში შეიქმნა საკუთარი საგრენაჟო წარმოება, მომზადდა აგრონომ-მეაბრეშუმეების, მეთუთეების მრავალრიცხოვანი კადრები.

საქართველოში სამეცნიერო-კვლევითი მუშაობა მეაბრეშუმეობის დარგში თითქმის 70 წელია წარმოებს. ჯერ კიდევ 1887 წელს თბილისში დაარსდა მეაბრეშუმეობის სადგური, რომელიც 1930 წელს გადაკეთდა მეაბრეშუმეობის ინსტიტუტად. ინსტიტუტის კოლექტივი წარმოების მუშაკებთან მჭიდრო კავშირში აქტიურად იბრძვის მეაბრეშუმეობის პროდუქტიულობის გადიდებისათვის, ჭიის კვების ზოოტექნიკის გაუმჯობესებისა და აბრეშუმის ჭიის ახალი ჯიშების გამოყვანისათვის.

ინსტიტუტის მეცნიერმა მუშაკებმა მოწინავე აგრობიოლოგიური მეცნიერების საფუძველზე გამოიყვანეს თუთის მთელი რიგი ახალი სამრეწველო ჯიშები და დაამუშავეს მათი ვეგეტაციური გამრავლების ეფექტური საშუალებანი. როგორც ცნობილია, უკანასკნელ წლებში გამოყვანილი ჯიშებიდან სახელი გაითქვა სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა კანდიდატის გ. ჯაფარიძის მიერ გამოყვანილმა თუთის ჯიშმა „საქართველომ“, რომელიც გამოირჩევა ფოთლის მაღალი მოსავლიანობით და ყინვაგამძლეობით. სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა კანდიდატის მ. შაბლოვსკაიას მიერ გამოყვანილი თუთის ჯიში „თბილისური“ ხასიათდება ყინვაგამძლეობით, რბილი, მაღალხარისხოვანი ფოთლით. ფოთლის მოსავლიანობით იგი უახლოვდება ჯიშ „საქართველოს“. თუთის ახალი ჯიშებიდან გამოირჩევა აგრეთვე ჭუთათური, ადრეული, ჰიბრიდები თბილნიშ-2 და თბილნიშ-7.

თუ როგორი ფართო გავრცელება ჰპოვა თუთის ჯიშმა „საქართველომ“, ეს ჩანს იქიდანაც, რომ ჩვენი რესპუბლიკის კოლმეურნეობებში ამჟამად სამ მილიონზე მეტია ამ ჯიშის ხე. ეს ჯიში ინერგება აგრეთვე სომხეთისა და მოლდავეთის კოლმეურნეობებში.

მრავალწლიანი სასელექციო მუშაობის შედეგად გამოყვანილია და წარმოებაში ინერგება აბრეშუმის ჭიის ახალი ჯიშები: თბილნიშ-1 და კახური (ავტორი სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა კანდიდატი ნ. სანაძე), ამერული და კოლხიდა (ავტორი სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა კანდიდატი შ. ღვინეფაძე). ეს ჯიშები ხასიათდება პარკის დიდი მოსავლიანობით, მაღალი აბრეშუმიანობით.

ინსტიტუტს აქვს 4 სექტორი: მეთუთეობის, აბრეშუმის ჭიის სელექციისა და საჯიშე საქმის, ჭიის კვებისა და საგრენაჟო, პარკის პირველადი გადამუშავების სექტორები, აგრეთვე სამი ლაბორატორია, მეაბრეშუმეობის მუზეუმი, დარგობრივი ბიბლიოთეკა და საცდელი ექსპერიმენტული ბაზა დიღომში, თუთის საკოლექციო პლანტაცია თბილისში. ინსტიტუტის გამგებლობაში შედის ქუთაისის მეაბრეშუმეობის ზონალური სადგური და ერევნის მეაბრეშუმეობის საყრდენი პუნქტი.

თბილისის თუთის პლანტაცია ინსტიტუტის შენობის ახლოს არის და 4 ჰექტარი ფართობი უჭირავს. აქ არის თუთის ჯიშების კოლექცია, რომელიც სისტემატურად ივსება ინსტიტუტისა და სხვა სამეცნიერო დაწესებულებების მიერ გამოყვანილი თუთის ახალი ჯიშებით.

21 ჰექტარზე გადაჭიმულა დიღმის ექსპერიმენტული ბაზა, რომლის ტერიტორია გამოყენებულია საცდელი მუშაობისათვის მეთუთეობაში. აქ წარმოებს ცდები ჰიბრიდიზაციის, ვეგეტაციური გამრავლების, ჯიშთა გამოცდის, აგროტექნიკის, თუთის ექსპლოატაციის ხაზით. ბაზა ყოველწლიურად ზრდის და კოლმეურნეობებს აწვდის ჯიშიანი თუთის ათასობით კვირტს. ეს ბაზა გადაიქცა საქართველოს თუთის სანერგედ და ჯიშიან მასალებს ჩვენი რესპუბლიკის რაიონებს გარდა აწვდის საბჭოთა კავშირის სხვა რესპუბლიკებსაც.

ინსტიტუტმა მეცნიერულად შეისწავლა, განაზოგადა აბრეშუმის ჭიის ჩქაროსნული გამოკვების ნოვატორული მეთოდი, რომელიც გამოიმუშავეს ახმეტის რაიონის სოფელ ქისტაურის მოწინავე მეაბრეშუმეებმა სტალინური პრემიის ლაურეატის კოლმეურნე ოსანა აივაზაშვილის ხელმძღვანელობით. ამ მეთოდით ჭიის გამოკვების ხანგრძლივობა 34-40 დღის ნაცვლად 25-26 დღემდე მცირდება და ამასთან ერთი კოლოფი ჭიიდან 70 და მეტ კილოგრამ ხარისხოვან პარკს იღებენ.

ცნობილია, რომ 1872 წელს იტალიაში მოწვეულ მეაბრეშუმეობის ინტერნაციონალურ კონგრესზე სპეციალურად განიხილეს აბრეშუმის ჭიის გამოკვების დაჩქარების საკითხი. კონგრესმა ვერ შეიმუშავა ჩქაროსნული გამოკვების მეთოდი. სამაგიეროდ დაუცხრომელი შრომის შედეგად ეს საკითხი ბრწყინვალედ გადაწყვიტეს ქისტაურელმა მეაბრეშუმეებმა. ამიტომ იყო, რომ ქისტაურის კოლმეურნეობის მერგოლური ოსანა აივაზაშვილი არჩეულ იქნა მეაბრეშუმეობის ინსტიტუტის სამეცნიერო საბჭოს წევრად.

საქართველოს მეაბრეშუმეობის სამეცნიერო-საკვლევი ინსტიტუტი 1934 და 1955 წლებში იყო სრულიად საკავშირო სასოფლო-სამეურნეო გამოფენის მონაწილე. მისი რამდენიმე მუშაკი დაჯილდოებულია გამოფენის დიდი და პატარა ვერცხლის მედლებით.

— კომუნისტური პარტია და საბჭოთა მთავრობა, — ამბობს ინსტიტუტის დირექტორი, სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა კანდიდატი ს. ნიკოლაიშვილი, — დიდ ყურადღებას აქცევენ მეაბრეშუმეობის და აბრეშუმის მრეწველობის განვითარებას. მეაბრეშუმეობის დარგში მომუშავე მეცნიერი მუშაკები ყველაფერს გავაკეთებთ იმისათვის, რომ წარმატებით განვახორციელოთ პარტიის XX ყრილობის გადაწყვეტილებანი, კიდევ უფრო გავაუმჯობესოთ სამეცნიერო-კვლევითი მუშაობა, ფართოდ განვაზოგადოთ და დავნერგოთ წარმოებაში საქართველოს მოწინავე მეაბრეშუმეთა გამოცდილება.

ს. არლუნელი.

• • •

სურათებზე: ზემოთ — უმცროსი მეცნიერი მუშაკი მ. იობაშვილი (მარცხნივ) და უფროსი ლაბორანტი ე. ჭანტურია აწარმოებენ დაკვირვებას აბრეშუმის ჭიაზე. წრეში — სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა კანდიდატები ს. ნიკოლაიშვილი (მარცხნივ) და გ. ალექსიძე ინსტიტუტის საცდელ ნაკვეთზე.

ფოტო შ. გოჩაძისა.

მუხროვანის მერძევეობის საბჭოთა მეურნეობაში

თვითეულ ჩვენგანს გუშინდელ დღესავით ახსოვს სამგორის სარწყავი სისტემის ამუშავება. საბჭოთა ადამიანის ძალამ დაიმორჩილა ბუნების სტიქია და სამგორის უდაბურ ველზე სიცოცხლე დაამკვიდრა. მწყობრში ჩადგა ათეულ ათასობით ჰექტარი ნაყოფიერი მიწა. ვაზით, ხეხილით, პურეულით, ძვირფასი მცენარეებით დაიფარა საუკუნეების მანძილზე უწყლობით გამომშრალი ველები.

თბილისის ზღვის მიდამოები საუკეთესო საგარეუბნო კურორტად იქცა, სადაც ყოველ კვირადღეს მრავალი თბილისელი ისვენებს.

რამდენიმე წლის წინათ ახალი სოფლები, კოლმეურნეობები და საბჭოთა მეურნეობები გაჩნდნენ სამგორის მიდამოებში. მწყობრში ჩადგა მუხროვანის მერძევეობის საბჭოთა მეურნეობა, რომელიც ხუთი წლის წინათ ჩამოყალიბდა ცხენსაშენი მეურნეობის ბაზაზე. მოკლე დროში აქ აშენდა კეთილმოწყობილი მუშათა საცხოვრებელი ბინები, ფერმები, დამხმარე ნაგებობანი. დიდი სამუშაოები შესრულდა მეურნეობის კეთილმოწყობისათვის. იგი პატარა ქალაქს დაეშსგავსა. მერძევეობის საბჭოთა მეურნეობის განკარგულებაშია 1.300-მდე ჰექტარი სახნავ-სათესი და სათიბი მიწა.

ბეჯითი მუშაობით მეურნეობის კოლექტივმა შეძლო მტკიცე საკვები ბაზის შექმნა. მრავალ ასეულ ჰექტარზეა დათესილი სასილოსე სიმინდი, ერთწლიანი და მრავალწლიანი ბალახები, საკვები ძირხვენები. მეურნეობა მთლიანად აკმაყოფილებს თავის მოთხოვნილებას საკუთარი წარმოების საკვებით. წელს სილოსად ჩაიდება 2.700 ტონა სიმინდი რძისებრ-ცვილისებრ სიმწიფეში, რაც თვითეულ ძროხაზე 9 ტონას შეადგენს.

მტკიცე საკვები ბაზის შექმნამ საგრძნობლად გაადიდა წველადობა. ენერგიულად იბრძოდა რა სკკპ ცენტრალური კომიტეტის სექტემბრის პლენუმის და XX ყრილობის ისტორიულ გადაწყვეტილებათა შესრულებისათვის, მეურნეობის კოლექტივმა შეძლო ყოველ 100 ჰექტარ მიწის სავარგულზე მიეღო 1955 წელს 300,5 ცენტნერი რძე, წელს კი 1 აგვისტოსათვის უკვე მიღებულია 445,4 ცენტნერი. მეურნეობის კოლექტივმა საბჭოთა მეურნეობებს შორის გაჩაღებულ საკავშირო სოციალისტურ შეჯიბრებაში პირველი ადგილი დაიკავა. მას გადაეცა სსრ კავშირის საბჭოთა მეურნეობების სამინისტროს გარდამავალი წითელი დროშა და ფულადი პირველი პრემია.

მეურნეობაში მალალნაყოფიერი შრომით თავი ისახელეს მწველავებმა ე. გოგოლაურმა, ნ. კევლიშვილმა, ნ. ლაგაზიშვილმა, ლ. ზახანდრეკიჩმა, ე. ლაზავაიამ, გ. ნესტერენკომ, ო. იავსიუკევიჩმა და სხვ. ლაქტაციის პირველ ნახევარში თვითეულმა მათგანმა წველადობის 10 თვის გეგმა დიდი გადაჭარბებით შეასრულა.



მაღალი ჯილდოთი აღფრთოვანებულმა მეურნეობის კოლექტივმა ვალდებულება იკისრა 10 სექტემბრისათვის შეასრულოს წველადობის წლიური გეგმა და გეგმის გადამეტებით სამშობლოს მისცეს ათობით ცენტნერი რძე.

მერძევეობის საბჭოთა მეურნეობის კოლექტივი მტკიცედ იბრძვის ამ ვალდებულებათა დროულად განაღდებისათვის.

სურათებზე: (ზემოდან ქვემოთ). 1. მოწინავე მწველავები (მარცხნიდან მარჯვნივ) ნ. ლაგაზიშვილი, ე. ლაზავაია, გ. ნესტერენკო, ე. გოგოლაური. 2. რძის ცისტერნს ამზადებენ მიმღებ პუნქტებში გასაგზავნად. 3. მუშები სამუშაოს დამთავრების შემდეგ დასვენების დროს. 4. მოწინავე მწველავი ნ. კევლიშვილი სიმინდის მწვანე მასის საკვებს აძლევს ძროხებს.

„კომუნისტის“ სიგნალის შემდეგ

„იშვიათად გამოღიან პოლიტიკური მოხსენებებით“

— ქალაქ გორის საწარმო-დაწესებულებებში ...ხსენებებს, ლექციებს აშვიათად კითხულობენ, პარტიის საქალაქო კომიტეტის პლენუმზე, აქტივის კრებებზე ხშირად ლაპარაკობენ მშრომელთა შორის პოლიტიკურ-აღმზრდელობითი მუშაობის გაუმჯობესების საკითხებზე, ლექციური პროპაგანდის ...ლოგებზე, მაგრამ საქმე ლაპარაკს არ ...ოლდება, — წერდა „კომუნისტის“ 17 ივნისის ნომერში გამოქვეყნებულ წერილში ჩვენი გაზეთის საკუთარი კორესპონდენტი.

საქართველოს კომპარტიის გორის საქალაქო კომიტეტის ბიუროს განიხილა „კომუნისტში“ გამოქვეყნებული წერილი, კრიტიკა სწორად ...ო და დასახა ღონისძიებანი მდგომარეობის ...მოსასწორებლად. მიღებული ზომების შედეგად უკანასკნელ ხანს მომხსენებელთა და ლექტორთა ჯგუფების მუშაობა გაუმჯობესდა, ...ყვანილია სამუშაო გეგმა, მოეწყო მომხსენებელთა ჯგუფის თათბირი, შერჩეულია თემები მომხსენებლებისათვის. უკვე წაკითხულია 9 ლექცია-მოხსენება.

ლიტერატურა და ხელოვნება

„კოლხეთის ცისკარი“ ფრანგულ ენაზე

ფრანგულმა პროგრესულმა ლიტერატურულმა გაზეთმა „ლე ლეტრ ფრანსეზ“-მა, რომლის დირექტორია ცნობილი ფრანგი პროგრესული მწერალი ლუი არაგონი, 1955 წლის 19 ოქტომბრიდან დაიწყო ბეჭდვა ცნობილი ქართველი მწერლის კონსტანტინე ლორთქიფანიძის რომანისა „კოლხეთის ცისკარი“.

გაზეთი თავის შესავალ ვრცელ სტატიაში წერს: „საქართველო ძველი კულტურის ქვეყანაა. მეთორმეტე საუკუნიდან დაწყებული, მის პოეზიას შოთა რუსთაველის პოეზიასთან ერთად, რომელიც საქართველოსათვის დანტეა, შეეძლო მეტოქეობა გაეწია ყველაზე დიდი პოეზიისათვის, რაც შექმნილი იყო საშუალო საუკუნეებში როგორც დასავლეთში, ისე აღმოსავლეთში. საქართველოში რომანი მეცხრამეტე საუკუნეში გაჩნდა... მაგრამ ჩვენს ეპოქაში, ახალ საქართველოში რომანმა დირსეული ადგილი დაიკავა, შეინარჩუნა რა ქართული ეროვნული თავისებურება, ახალი სოციალური შინაარსი მიიღო. ჩვენ არ გვეეჭვება, რომ საქართველოს ეგზოტიკური მომხიბვლელობა, რაც ფრანგ მკითხველს უეჭველად მოეწონება ამ ახალ ლიტერატურაში, იქნება მისთვის არა მხოლოდ ცნობისმოყვარეობის საგანი, არამედ პირდაპირი ინტერესი... არაგონის წიგნში: „საბჭოთა მწერლები“, რომელიც უახლოეს დღეებში გამოვა და რომლის ნაწყვეტები ჩვენი გაზეთის ფურცლებზე დაიბეჭდება, ჩვენს მკითხველებს შეუძლიათ გაეცნონ ავტორის ვინაობას...

საქართველოს ხალხს ჩვენ ნაკლებად ვიცნობთ... აქ ქალები საუცხოონი არიან, შამაკაცები კი შამაცნი. აი რატომ იყო, რომ ომები, რომლებიც აოხრებდნენ ამ ლეგენდარულ მხარეს, ყოველთვის ბერძნების, რომაელების, ასურელების, თურქების, ირანელების დამარცხებით მთავრდებოდა. ეს მხარე ვერ დაიპყრო ვერც პომპეუსმა და ვერც მიტრიდატმა. საქართველო არ გახდა ევროპის დაზვერვათა ქიშპობის მხარედ. შეიძლება თუ არა ჩვენი თანამედროვეები მომავალშიც არ იცნობდნენ ამ მიწის ახალ სახეს?“

მომდინარე წლის მაისის ნომერში დამთავრდა „კოლხეთის ცისკარის“ ბეჭდვა. თარგმანი ქართულიდან შესრულებულია მწერლისა და მთარგმნელის ეორეუ არუს მიერ, ხოლო მხატვრული გაფორმება მხატვარ გარსიას ეკუთვნის. რომანის გარკვეულ თავებს წინ მოკლე შინაარსი აქვს წამძღვარებული. მაგალითად, მეხუთე, მეექვსე, მეშვიდე, მერვე და მეცხრე თავებს ასეთი მოკლე შინაარსი აქვს წამძღვარებული: „საბჭოთა ხელისუფლების დამყარების პირველ წლებში საქართველოში, სოფელ ზემოციხეში ერთი ახალგაზრდა ობოლი, მორცხვი ბიჭი, მეჩი ვაშაკიძე მედუქნე ერემო პირტახიასთან მოდგამაგირედ მუშაობდა. საბჭოთა ხელისუფლება მყარდება. გლეხებმა გადაწყვიტეს დაარსონ კოოპერატივი, რომელსაც „კოლხეთის ცისკარი“ უწოდეს. მეჩი შედის კოლმეურნეობაში და თავისი შეუდრეკლობითა და წარმატებებით გაითქვამს სახელს. ეს-ეს არის პირველი ტრაქტორი გამოჩნდება. ტარასი, კოლმეურნეობის თავმჯდომარე, მეჩის საცდელ სადგურში გზავნის, რომ მოიხმინოს ლექციები და ტრაქტორისტი გახდეს. რამდენიმე ხნის აგრონომიული ძიების შემდეგ მეჩი სპეციალობას იძენს, თუმცა წინააღმდეგობებს ხვდება“.

ფრანგული ტექსტის ორიგინალთან შედარებამ ნათელყო, რომ დასახულნ ამოცანა ეორეუ არუს პირნათლად შეუსრულებია. სამართლიანობა მოითხოვს აღვნიშნოთ, რომ ეორეუ არუ თარგმნის კარგი ოსტატია, კარგად იცნობს თარგმანის ტექნიკას, მწერლის იდეას, სულსა და სტილს. მთარგმნელი ანგარიშს უწევს ქართული ენის სპეციფიკურ გამოთქმებს, რაც ხელს უწყობს ქართველი მწერლის იდეის გაგებას. თარგმანში იგრძნობა დინამიკურობა, სხარტულობა და ლაკონიურობა. ეორეუ არუს თარგმანი აშკარად ამყღავნებს ფრანგული და ქართული ენების საფუძვლიან ცოდნას; ის შესანიშნავად იცნობს კონსტანტინე ლორთქიფანაძის ენას, სტილსა და იმ ეპოქას, რომელშიც ქართველი მწერალი ცხოვრობს.

ეორეუ არუს სახით პროგრესულ ფრანგულ ლიტერატურას მოეკვლინა, ახალი სერიოზული ძალა, რომელსაც უნარი შესწევს უშუალოდ ქართულიდან თარგმნოს ქართველ მწერალთა ქმნილებანი და გააცნოს ფრანგ მკითხველებს.

ს. თურნავა.

„კოლხეთის ცისკარის“ ილუსტრაცია, რომელიც დაბეჭდილია გაზეთ „ლე ლეტრ ფრანსეზში“.

პატრიოტული სპექტაკლი

ქართველი და სომეხი ხალხების გმირული ბრძოლა დამპყრობთა წინააღმდეგ მრავალ ნაწარმოებში აისახა. აკაკი წერეთლის „ბაშიაჩუკი“, დაფა ფშაველას „ბახტრიონი“ ახალი ქართული ლიტერატურის შესანიშნავი ნიმუშებია, რომლებშიც ნაჩვენებია ქართველი ხალხის ბრძოლა უცხოელი დამპყრობლების წინააღმდეგ.

ამავე თემას ეხება სომეხი მწერლის რაფის რომანი „დავით ბეგი“, რომელიც საფუძვლად დაედო ა. ტიგრანიანის ამავე სახელწოდების ოპერას. რაფიმ მთელი სიცოცხლე თბილისში გაატარა, შეისწავლა ქართველი ხალხის ყოფა-ცხოვრება, ისტორია და ყოველივე ეს ასახა თავის ნაწარმოებებში.

ა. ტიგრანიანი ერთ-ერთი ცნობილი სომეხი კომპოზიტორია. იგი ხანგრძლივად ცხოვრობდა თბილისში, ჰქონდა მეგობრობა ქართველ კომპოზიტორებთან: ზაქარია ფალიაშვილთან, მ. ბალანჩივაძესთან, დ. არაყიშვილთან. ა. ტიგრანიანს თბილისში საშუალება მიეცა გასცნობოდა და შეესწავლა მდიდარი ქართული მუსიკალური ფოლკლორი, ქართული მუსიკის თავისებურებანი, რაც კომპოზიტორს შესანიშნავად აქვს გამოყენებული ოპერა „დავით ბეგში“.

სპექტაკლი გამთბარია სომეხი ხალხის რუს და ქართველ ხალხებთან მეგობრობის იდეით. ამის ნათელი დადასტურებაა თუნდაც სომეხთა ციხე-სიმაგრეში პეტრე პირველის დესპანების გამოჩენის ეპიზოდი. მუსიკის ამაღელვებელ სიმხიარულე ეღერაში მოხდენილად არის ჩაქსოვილი ხალხთა მეგობრობის უძლეველობის იდეა, მისი სასიცოცხლო მნიშვნელობა ხალხთა განმათავისუფლებელ ბრძოლაში. ყურადღებას იქცევს ოპერის მეორე მოქმედება, — სადაც ნაჩვენებია განსაცდელის ჟამს ქართლის მეფის ვახტანგ VI-ის დახმარება სომეხი ხალხისადმი. ვახტანგ მეფე წარმატებას უსურვებს სომეხ ხალხს მტრის წინააღმდეგ ბრძოლაში.

ოპერა „დავით ბეგში“ მშვენიერად არის შერწყმული ქართულ-სომხური მელოდიები და ცეკვები. სომხურ ოპერაში სასიამოვნოდ ეღერს ქართული „ნანა“, „ურმული“ და სხვ.

ოპერა „დავით ბეგი“, რომელიც დაიდგა ერევნის სპენდიაროვის სახელობის ოპერისა და ბალეტის თეატრში, სომხური მუსიკალური კულტურის წინსელის მაჩვენებელია.

ივ. დავითიანი.

მ. თოიძისადმი მიძღვნილი კრებული

ამას წინათ მოსკოვში გამომცემლობა „სოვეტსკი ხუდოჟნიკმა“ რუსულ ენაზე გამოსცა გამოჩენილი საბჭოთა ხელოვანის, საქართველოს სახალხო მხატვრის, პროფესორ მოსე თოიძისადმი მიძღვნილი კრებული მონოგრაფიითა და ილუსტრაციებით.

საქართველოში რეალისტური სახვითი ხელოვნების განვითარების საქმეში დიდი დამსახურება მიუძღვის მოსე თოიძეს. მონოგრაფიის ავტორი შალვა კვასხვაძე ფართოდ განიხილავს მოსე თოიძის შემოქმედებას. აღნიშნულია, რომ მოსე თოიძე დიდი რუსი მხატვრის ი. რეპინის სამხატვრო სახელოსნოში დაოსტატდა. მისთვის დიდად ზრუნავდნენ აგრეთვე ისეთი მხატვრები, როგორიც იყვნენ პეიზაჟების შესანიშნავი ოსტატი ა. კუინჯი და რუსული გრავიურის ცნობილი ოსტატი ვ. მატე.

აღსანიშნავია, რომ ახალგაზრდა მხატვარმა საღიპლომო შრომად წარადგინა ნახატი „მცხეთობა“, რომელშიც ყალმის საშუალებით გადმოცემულია ძველი სახალხო ღღესასწაული. ამ სურათისთვის რუსეთთან საქართველოს შეერთების ასი წლისთავისადმი მიძღვნილ გამოფენაზე 1901 წელს მოსე თოიძე დაჯილდოებულ იქნა ოქროს მედლით.

კრებულში წარმოდგენილია მხატვრის 16 ილუსტრაცია, რომელთაგან აღსანიშნავია „მცხეთობა“, „ძველი თბილისი“, „სიმღერა გამარჯვებისა“ და სხვ.

მოსე თოიძის ნახატებში ღრმად არის გახსნილი ხალხის ხასიათი, ეროვნული თავისებურებანი და შრომისადმი სიყვარული.

მოგზაურობა ინგლისში

8 ივნისს დილით საბჭოთა ახალგაზრდობის დელეგაციის წევრები თვითმფრინავით ...ონდონის დედაქალაქ ედინბურგში წავედით. ...ედინბურგი ისეთი ლამაზი ქალაქია, რომ მას ...ეულებრივ „თანამედროვე ათენს“ უწოდებ...ენ. იგი დიდი კულტურული ტრადიციების ...ქალაქ არის: იქ მოღვაწეობდნენ ადამ სმიტი ...ენ ვალტერ სკოტი, რობერტ ბერნსი და პერ... შელი, იქ ცხოვრობდა შფოთიან 1848 ...ლს გამოჩენილი პოლონელი კომპოზიტორი ...ედერიკ შოპენი, იქ დაიბეჭდა ცნობილი ბრი...ანული ენციკლოპედიის პირველი გამოშვება. ...ტლანდიის დედაქალაქში ახლაც რომ უყ...ურთ და აფასებენ ლიტერატურას და ხელოვ...ებას, ეს იქიდანაც ჩანს, რომ სახელდობრ იქ ...ელწლეულად, შემოდგომაზე ეწყობა მუსი...ალური, დრამისა და კინოფილმების საერთაშორისო ფესტივალი.

ედინბურგში სამიოდე დღე დავყავით. ლონ...ონისაგან განსხვავებით სასტუმროში კი არ ...ბინავრობდით, არამედ ინგლისელთა ოჯახებ...ი, რათა უფრო ღრმად გავცნობოდით ინგლი...ელთა ყოფაცხოვრებასა და ზნე-ჩვეულებას. ...ერძოდ, მე და გალინა სავრნიკო — ენციკლოპედიის ...ელობის მუსიკალური სასწავლებლის სტუ...ენტი — მოვთავსდით მასწავლებელ გიბსენ...ის ოჯახში. მიუხედავად იმისა, რომ ჩვენ ინ...ესური არ ვიცოდით, ამათ კი—რუსული ენა, ...ან ხელი ვერ შეგვიშალა კარგ მეგობრობაში. ...ეუპარომყვარე მასპინძლების წყალობით ...ოგად გავიცანით შოტლანდიის დედაქალაქის ...ინსშესანიშნავ ადგილებს, შოტლანდიის აკა...ემიას, სურათების ეროვნულ გალერიას, ბერ...ის სახლ-მუზეუმს, ედინბურგის ცნობილ ის...ორიულ ციხე-დარბაზს.

ედინბურგში ყოფნის მეოთხე დღეს ჩვე...ი დელეგაცია ორ ჯგუფად გაიყო. სხვა...ა მარშრუტებით წავედით ინგლი...ის ქალაქების დასათვალიერებლად. ის ...ახელები, რომლის შემდეგ ლონდონშიც მე ვი...ავი, გაემგზავრა ქალაქ ნიუკასლში, სადაც სა...ამი დღე დავყავით. საფუძვლიანად დავათვალი...ერეთ ქალაქ ნიუკასლისა და მასთან ახლო ...ებული ქალაქების დარემის, სანდერლენდის, ...ლონგფილის ღირსშესანიშნაობანი. ქალაქ სან...ერლენდში ახალგაზრდა ლიბერალებმა თავი...ი კრებაზე მოგვიწვიეს. სხვათა შორის კრე...ის დროს რამდენიმე რიგითმა ლიბერალმა ...ეგზიდიუმში მყოფ საბჭოთა დელეგაციის წევ...ებს გამოგვიგზავნა გულთბილი მეგობრული

...ასასრული. დასაწყისი იხ. „კომუნისტი“ № 179.

წერილები. ერთი მათგანი, რომელიც ეტყობა სპორტის მოყვარული ლიბერალის დაწერილი იყო, სულ ორი წინადადებისაგან შედგებოდა: „მგზნებარე სალამი საბჭოთა მეგობრებს! ბრავო მოსკოვის „დინამოს!“.

14 ივნისს ნიუკასლიდან უელსის მთავარ ეკონომიურ, კულტურულ და ადმინისტრაციულ ცენტრში — ქალაქ კარდიფში გავემგზავრეთ. გზაში ბევრი შესანიშნავი და საინტერესო რამ ვნახეთ, მაგრამ განსაკუთრებული ყურადღება მაინც ქალაქ დარლინგტონის ვაგზალზე დაცულმა ცნობილი სტეფენსონის პირველმა ორთქლმავალმა მიიპყრო. დელეგაცია ამავე დღეს დიდი გულითადობით მიიღო ქალაქ კარდიფის ლორდ-მერმა, რომლის განკარგულებით ჩვენი პატივისცემის ნიშნად მერიის შენობაზე წითელი დროშა იქნა გამოკიდებული.

კარდიფი ძალიან საინტერესო ქალაქია, რომელსაც მრავალი ღირსშესანიშნავი აღგილი აქვს. ისეთებია ძველებური ციხე-დარბაზი, უნივერსიტეტის კოლეჯები, ქალაქის რატუში, უელსის ეროვნული მუზეუმი, რომელიც ხელოვნების ნაწარმოებთა მდიდარ კოლექციებს შეიცავს. 15 ივნისს საღამოს კარდიფის მუსიკალური კომედიის თეატრში ვუყურეთ ამერიკელი კომპოზიტორის გერშვინის მუსიკალურ პიესას „ლედი, იყავით ლამაზი“. გულახდილად უნდა ვთქვა, რომ, მართალია რიტმული და მელოდიური ზნეგრი ხალხური სიმღერების დიდი მოყვარული ვარ და ჯერ კიდევ თბილისში სიამოვნებით ვუსმენდი ზანგ მომღერალ ტიტო რომალიოს, მაგრამ გერშვინის მუსიკა, სადაც ზანგური ხალხური მელოდია ამერიკული „ბუგი-ვუგის“ ჯაზური სტილით ეღერს, არ მომეწონა. შეიძლება ეს იმითაც აიხსნებოდეს, რომ ჩვენ კარდიფში ჩამოვედით შოტლანდიიდან — მუსიკალური მხარიდან, რომლის ხალხური სიმღერები საქვეყნოდ განთქმულია.

კვირადღეს, 17 ივნისს დილით ავტობუსებით უელსის მხარის დასათვალიერებლად წავედით. „ციხე-კოშკების და შახტების ქვეყანა“ — ასე უძახიან ამ პატარა მხარეს, რომელიც შვეიცარიაზე ან დანიაზე ორჯერ ნაკლებია.

უელსის ისტორია შორეული საუკუნეებიდან იწყება: უცხოელ დამპყრობთა წინააღმდეგ ვაჟკაცური ბრძოლის მოწმეებად დღემდე შემორჩენილა მთებზე აღმართული ძველებური ციხეები. მათი უმრავლესობა ომებს დაუნგრევია, ნაწილი კი გადაქცეულია მუზეუმებად, სადაც ბევრი საინტერესო ისტორიული ნივთია დაცული. როდესაც შორეული უელსის მხარეში ამ ძველებურ ციხე-მუზეუმებს ვათვალიერებდი, ძალაუნებურად მახსენდებოდა დიდი ისტორიული წარსულის მქონე ჩვენი ქართული ციხე-სამაგრეები, რომელნიც უელსის ციხე-მუზეუმების მსგავსად უთუოდ უკეთესი მოვლა-პატრონობის ღირსია.

...ავტობუსი მიჰყვება მდინარე კონუეის სანაპიროზე გაყვანილ მოასფალტებულ გზას, რომელსაც იმავე სახელწოდების ძველ ქალაქ-სიმაგრესთან მივყავართ. პატარა ქალაქ კონუეის გარს არტყია სქელი გალავანი და კოშკები. მდინარე კონუეის ზღვისკენ ამაყად აღმართულია დიდებული კოშკი, რომელიც XIII საუკუნეში, უელსში ინგლისის მეფე ედუარდ I-ის შემოსევის დროს არის აგებული. ძველი ქალაქის ადგილიური სილამაზე პოეტურ განწყობილებაზე გვაყენებს. „აქ თითქოს დღესაც ისმის ანგლოსაქს რაინდთა ხმლების წკრიალი“,—პოეტიკურად ამბობს ჩვენი თანმხლები ვალიელი (ასე უძახიან უელსის მკვიდრთ). მე ვეუბნები ინგლისელ მეგობრებს, რომ ეს ნაგებობანი ძალიან მაგონებს მშობლიური საქართველოს ძველ ისტორიულ ციხე-კოშკებს. პასუხად ერთ-ერთი თანმხლები ინგლისელი სტუდენტი, მოულოდნელად ხელს აშვირს რა კონუეის მაღალი ციხე-სიმაგრისაკენ, გაღიმებული მეუბნება:

— ი, მის ვასაძე, თქვენი ლედი ნესტანი ალბათ ასეთ ციხეში იქნებოდა გამომწყვდეული, არა? ჩემს გაოცებას საზღვარი არა ჰქონდა: გამიკვირდა, საიდან იცოდა მან რუსთაველის „ვეფხისტყაოსანი“. გამოირკვა, რომ იგი კარგად იცნობს თავისი თანამემამულის მარჯორი უორდროპისა და ჩვენი სახელოვანი ქართველი მთარგმნელის ვერა ურუშაძის თარგმანებს. ეს სტუდენტი გაოცებული იყო ქართველი ქალის მიერ ინგლისური ენის ასე ბრწყინვალედ დაუფლების გამო.

...ავტობუსმა გზა განაგრძო მდინარე კონუეის სანაპიროზე. ჩვენს თვალწინ გაიელვეს ვალიელ ფერმერთა კოტეჯებმა და ეზოებში მდგომმა აკურატულად შეკრეჭილმა ხეებმა, მაღალმა გუთური სტილის ეკლესიებმა და დანგრეული ციხე-კოშკების ქონგურებმა და ისევ თვალს მიეფარნენ. მდინარე კონუეის ხეობა მთავრდება, გზას მთებში მივყავართ. ჩვენს მარჯვენთ მოელ შაბოდის მწვერვალია, მას ზემოთ — ხუთთავიანი სნოუდონი — ინგლისისა და უელსის ყველაზე მაღალი მთა, რიტა გავრის — უელსის ფოლკლორის ლეგენდარული გმირის ადგილსამყოფელი. მიუხედავად იმისა, რომ ამ მხარეში პირველად ვარ, პეიზაჟი ძალიან მეცნაურება, ასე მგონია რაჭა-ლეჩხუმის ან სვანეთის მთიან მხარეში ვიმყოფები.

კიდევ და კიდევ ციხე-კოშკები... ტყუილად როდი რქმევია ამ მხარეს „ციხე-კოშკების“ ქვეყანა... მაგრამ ციხეები, კოშკები, სიმაგრეები უელსის ისტორიის წარსულია, ხოლო მთავარი, რითაც უელსის მხარე ინგლისელთა ყურადღებას იმსახურებს, ეს არის „შავი ოქრო“ — ქვანახშირი. ჩვენ დავათვალიერეთ სამხრეთ უელსის რამდენიმე ნახტი, საინტერესო საუბარი გვქონდა უელსის მეშახტეებთან. მართალია ავტობუსებით ერთდღიანი მოგზაურობა „ციხე-კოშკებისა და შახტების“ ქვეყანაში — კოლორიტულ უელსში ძალიან მომქანცველი იყო, მაგრამ იგი ჩვენი მოგზაურობის მარშრუტში ყველაზე საინტერესო ადმოჩნდა.

18 ივნისს დილით შეფილდში გავემგზავრეთ. ძალიან გულთბილად შეგვხვდნენ. იმავ დღეს მიგვიღო ლორდ-მერის მოადგილემ, რომელიც ნამყოფი ყოფილა საბჭოთა კავშირში, კერძოდ, სტალინოში და გულთბილად იხსენებდა საბჭოთა ხალხის სტუმართმოყვარეობას. ქალაქ შეფილდში ყოფნისას ვეწოვრობდი ფრიმენების ოჯახში. ფრიმენები საბჭოთა კულტურის დიდი პატივისმცემელნი აღმოჩნდნენ, მათს ბიბლიოთეკაში ვნახეთ რუსი კლასიკოსი მწერლების, უმთავრესად დოსტოევსკისა და ჩეხოვის წიგნები. საერთოდ უნდა აღინიშნოს ერთი დამახასიათებელი გარემოება: ინგლისში ძალიან პოპულარულია ზოგიერთი რუსი კლასიკოსი მწერალი, მაგრამ საშუალო ინგლისელი მკითხველი ძალიან სუსტად იცნობს ან თითქმის სულ არ იცნობს თანამედროვე საბჭოთა ლიტერატურას.

შეფილდში ყოფნისას დავათვალიერეთ ქალაქის ღირსშესანიშნავი ადგილები: ვიყავით მთელ მსოფლიოში სახელგანთქმული ნეფილდური დანა-ჩანგლისა და ვერცხლის ნივთების ქარხანაში. ჩვენზე დიდი შთაბეჭდილება დატოვა ოსტატურად ნახელავმა ნივთებმა, მაგრამ გაგვიკვირდა, რომ ყველა სამუშაო აქ პრიმიტიულად, ხელით სრულდება და არა მექანიზებულად. ვიყავით აგრეთვე შეფილდის ქვანახშირის შახტში, ჩავეშვით 600 მეტრის სიღრმეში. მე პროფესიით ფილოლოგი ვარ და შახტების საქმეში ძალიან სუსტად ვერკვევი, მაგრამ ჩვენი დელეგაციის წევრმა — სტალინოელმა მეშახტემ ანატოლი კულიკმა აღნიშნა, საბჭოთა შახტები უფრო კეთილმოწყობილი და მექანიზებული არიანო. გაგვაოცა იმ ფაქტმაც, რომ მეშახტეებს სპეცტანსაცმელს და საჭირო იარაღს ადმინისტრაცია კი არ აძლევს, არამედ თვითონ მუშები საკუთარი ფულით ყიდულობენ.

ქ. შეფილდში ყოფნის დროს მიღება მოგვიწყეს ქალაქის ახალგაზრდობის სხვადასხვა ორგანიზაციებმა, აგრეთვე კოოპერაციული მეძროობის კლუბმა. სხვათა შორის ამ კლუბის წარმომადგენლებმა დიდი ამბით დაგვათვალიერებინეს იმ დღეებში ახლახან გაღებული უგამყიდველო მაღაზია, რომელიც შეფილდში სენსაციურ სიახლედ ითვლებოდა. რა დიდი იყო მათი გაოცება, როდესაც ვუთხარი, ბინელისში — საბჭოთა საქართველოს დედაქალაქში ასეთი მაღაზია უკვე დიდიხანია გახსნილია-მეთქი.

22 ივნისს დილით შეფილდიდან დავბრუნდით ლონდონში, სადაც შევუერთდით საბჭოთა დელეგაციის მეორე ჯგუფს.

უკანასკნელი დღეები ლონდონში... მიუხედავად იმისა, რომ ინგლისის სხვა ქალაქებში გამგზავრებამდე ლონდონში ხუთი დღე ვიყავით, არცერთ წუთს უსაქმოდ არ ვყარგავთ, რაც შეიძლება კიდევ მეტი გვინდა ვნახოთ...

22 ივნისს ქალაქგარეთ დავათვალიერეთ სკაუტების ბანაკი, სადაც, ტურისტული ხასიათის დასვენება-გართობის გარდა, წარმოებს სკაუტების ხელმძღვანელი კადრების მომზადება. საღამოს მიღება მოგვიწყეს ე. წ. „საერთაშორისო ცენტრში“. „საერთაშორისო ცენტრი“ ფაქტიურად სასტუმროა, სადაც ცხოვრობენ და იკრიბებიან სხვადასხვა ეროვნებისა და სხვადასხვა ქვეყნის წარმომადგენლები, რომლებიც ინგლისში სწავლობენ ან ცხოვრობენ. ჩვენს მიღებას, გარდა ინგლისელი ახალგაზრდებისა, დაესწრნენ ინდოელი, ნიგერიელი, ამერიკელი, მექსიკელი, ჩინელი, ფრანგი, იტალიელი, გერმანელი სტუდენტები.

24 ივნისს ვიყავით ქალაქ ვინძორში, დავათვალიერეთ ვინძორის სამეფო სასახლე, სადაც ამჟამად ინგლისის დედოფალი ელისაბედი ცხოვრობს. ვიყავით ვინძორის ცნობილ კოლეჯში, რომელიც ერთ-ერთ საუკეთესო არისტოკრატიულ კოლეჯად ითვლება მთელ ინგლისში.

25 ივნისს ისევ ქალაქ ლონდონს ვათვალიერებდით. იმავე დღეს გამოსათხოვარი მიღება მოგვიწყეს ინგლისის ახალგაზრდობის იმ ორგანიზაციების წარმომადგენლებმა, რომლებმაც ჩვენი დელეგაცია ინგლისში მიიწვიეს. შემდეგ საბჭოთა ახალგაზრდობის დელეგაციამ ლონდონელი ჟურნალისტების თხოვნით გამართა პრეს-კონფერენცია, რომელსაც ესწრებოდნენ ინგლისის დედაქალაქის მსხვილი გაზეთების „ტაიმსის“, „ნიუს ქრონიკლის“, „დეილი მიროროს“, „დეილი უორკერის“ და სხვათა წარმომადგენლები. იმ დღესვე საღამოს ლონდონის საბჭოთა საელჩოში საბჭოთა დელეგაციის პატივსაცემად გაიმართა მიღება, რომელსაც ჩვენს გარდა ესწრებოდნენ ინგლისის ახალგაზრდული ორგანიზაციების წარმომადგენლები, ინგლისის საზოგადო მოღვაწეები, ინგლისელი ჟურნალისტები და ფოტორეპორტიორები.

26 ივნისის დილაა... ლონდონის აეროდრომზე ჩვენს გასაცილებლად მოსულან ინგლისელი ახალგაზრდები, საბჭოთა საელჩოს თანამშრომლები. აი ინგლისური თვითმფრინავი, რომელზეც ჩვენ ეზიგართ, გარბის საფრენ გზაზე, იწყებს სიმაღლის აღებას. თანდათანობით ვშორდებით ნისლში გახვეული ლონდონის ნაცრისფერ კვარტალებს... ცოტა ხანი, და უკვე პარიზში ვართ.

პარიზი, პარიზი... „Я хотел бы жить и умереть в Париже, если бы не было такой земли, — Москва“ — წერდა თავის დროზე პარიზით აღტაცებული მაიაკოვსკი. განა შეიძლება აღტაცების ამაზე უფრო ზუსტად გამოხატვა? განა შეგიძლია გულგრილი დარჩე პარიზისადმი, მისი ულამაზესი ელისეის მინდვრებისა და ზურმუხტისფერი სენისადმი, გრაციოზული მომმარტრისა და მხიარული, სიტყვამოსწრებული პარიზელებისადმი? მე ძალიან ცოტახანს — სულ ერთნახევარ დღეს ვიყავი პარიზში, ამ ხნის განმავლობაში არათუ წარმოუდგენელია პარიზისა და პარიზელების გაცნობა, არამედ ქალაქეს უბნების უბრალო შემოვლაც კი. დიახ, მე ძალიან მცირე დრო მქონდა იმისათვის, რომ გამეცნო პარიზი, მაგრამ სავსებით საკმარისი იმისათვის, რომ ღრმად შემეყვარებინა იგი. მართლაც, არ შეიძლება არ იფასებდე ქალაქს, რომელიც უყვარდა მარქსს, ლენინს, რომლის შესახებ შთაგონებული სტრიქონები დაუწერიათ მხატვრული სიტყვის ოსტატებს ტურგენევსა და გერცენს, მაიაკოვსკისა და ერენბურგს...

27 ივნისს ფრანგულმა თვითმფრინავმა მოგვიყვანა პრაღამდე, ხოლო საბჭოთა თვითმფრინავმა მშობლიურ საყვარელ მოსკოვში ჩამოგვიყვანა.

ჩამოვედი რა სამ

სახალხო დემოკრატიის ქვეყნებში



უნგრეთის სახალხო რესპუბლიკა. ქალაქ ხატვანში მთავრდება ახალი საკონსერვო ქარხნის მშენებლობა. საწარმოს პირველი რიგი უკვე გადაცემულია საექსპლოატაციოდ. წელს ქარხანა გამოუშვებს 100 ვაგონზე მეტ კონსერვს. **სურათზე:** მწვანე ბარდის დასაკონსერვებელი საამქრო.

ფოტო მადიარ ფოტოსი.

მოსავლის ასაღებად ყამირ მიწებზე სსრ კავშირში

ბუქარესტი, 2 აგვისტო. (საკდესი). დღეს რუმინელი ახალგაზრდობის ჯგუფი მოსავლის ასაღებად გაემგზავრა საბჭოთა კავშირის ყამირ მიწებზე. ჯგუფის შემადგენლობაში არიან ტრაქტორისტები, აგრონომები, სახელმწიფო და კოლექტიურ სასოფლო მეურნეობათა მუშაკები, სასოფლო-სამეურნეო უმაღლეს სასწავლებელთა სტუდენტები.

პრაღა, 2 აგვისტო. (საკდესი). როგორც ჩეხოსლოვაკიის დელეგაციათა საგენტო იუწყება, 1 აგვისტოს პრაღიდან გაემგზავრა ახალგაზრდობის ჯგუფი 29 კაცის შემადგენლობით, რომელიც მონაწილეობას მიიღებს მოსავლის აღებაში უზბეკეთის ყამირ მიწებზე.

ჩინეთის პირველი სატრაქტორო ქარხნის მშენებლობაზე

პეკინი, (საკდესი). მომავალ წელს დამთავრდება ჩინეთის პირველი სატრაქტორო ქარხნის მშენებლობა ქალაქ ლოიანში, ამჟამად ქარხნის მშენებლებმა დაიახლეს ამოცანა — ვადამდე აამუშაონ ქარხნის მთელი რიგი საამქროები. ადგილობრივი პრესის ცნობებით, ქარხნის მშენებელთა ამ გადაწყვეტილებამ გამოიწვია აგრეთვე ტიანძინის, უხანის, შენიანის და ჩინეთის სხვა ქალაქების იმ სამრეწველო საწარმოთა მუშების, ინჟინრებისა და ტექნიკოსების უდიდესი შრომითი ენთუზიაზმი, რომლებიც ასრულებენ პირველი სატრაქტორო ქარხნის დაკვეთებს.

სატრაქტორო ქარხნის მშენებლობის წარმატებით დამთავრებისათვის ამ ქარხანას სპეციალისტებს უგზავნიან ჩინეთის პირველი საავტომობილო ქარხანა, ანშანის მეტალურგიული კომბინატი, პეკინის ავტომობილის დეტალების ქარხანა და სხვა საწარმოები.

კანადის სოციალ-დემოკრატიული პარტიის XIV ეროვნული კონფერენცია

ვინიპეგი, 2 აგვისტო. (საკდესი). დღეს ვინიპეგში (მანიტობის პროვინცია) გაიხსნა კანადის სოციალ-დემოკრატიული პარტიის XIV ეროვნული კონფერენცია. ეს პარტია წევრთა რიცხვის მხრივ კანადაში მესამე პარტიაა. პარლამენტის უკანასკნელ, 1953 წლის არჩევნებში მან მიიღო ხმების 14 პროცენტი. იგი ახლა მმართველი პარტიაა სასკატჩევანის პროვინციაში.

პარტიას, რომელშიც უმთავრესად შედიან მუშები და ფერმერები, მჭიდრო კავშირი აქვს პროფკავშირებთან. იმ პროფკავშირული ორგანიზაციების მნიშვნელოვანი ნაწილი, რომლებიც კანადის შრომის კონგრესში შედიან, ოფიციალურად უჭერს მხარს არჩევნებში ამ პარტიას.

კონფერენციაზე ცენტრალური ადგილი ეთმობა საპროგრამო დოკუმენტს — „პრინციპების დეკლარაციის“ პროექტის განხილვას, რომელშიც ნათქვამია, რომ პარტიის მიზანია კანადაში დემოკრატიული საშუალებებით დამყაროს „კოოპერაციული თანამეგობრობა“.

დეკლარაციაში აღნიშნულია, რომ პარტიის პირველი პროგრამის მიღების შემდეგ 1933 წელს, რომელიც ცნობილია „რეგინის მანიფესტის“ სახელწოდებით, დიდი ცვლილებები მოხდა, და რომ ამიტომ საჭიროა ახლებურად ჩამოყალიბდეს პარტიის მიზნები. მაგრამ ახალი პროგრამა პირველად „რეგინის მანიფესტთან“ შედარებით მნიშვნელოვნად ნაკლებ რადიკალური ჩანს.

დეკლარაციაში ხაზგასმით არის აღნიშნული, რომ მიუხედავად კანადის ეკონომიკის საერთო გაფართოებისა უკანასკნელ წლებში, „ხალხის მნიშვნელოვანი ფენები ვერ სარგებლობენ წარმოებული სიმდიდრის ზრდის შესაბამისი ხელსაყრელობით. გათიშვა ამათ შორის, ვინც საზოგადოებრივ კიბეზე ქვემოთ იმყოფება და ვინც ზემოთ არის, გადიდდა. დიდი სიმდიდრე და ეკონომიური ძალაუფლება კვლავ გროვდება კერძო კორპორაციების შედარებით მცირე ჯაოდენობის ხელში. ამავე დროს ათასობით ადამიანი კვლავ გაპირვებაში ცხოვრობს და უზრუნველყოფილი არ არის“.

დეკლარაციის საგარეოპოლიტიკურ ნაწილში სოციალ-დემოკრატიული პარტია აცხადებს, რომ მტკიცედ იბრძოლებს საერთაშორისო დაძაბულობის შენელებისა და მშვიდობის განმტკიცებისათვის. მოუწოდებს რა ნაკლები ამედი იქონიონ სამხედრო ძალისა და მეტი სახსრები გამოჰყონ სუსტად განვითარებული ქვეყნების დასახმარებლად, პარტია „დასტურებს, რომ საკუთარ უჭერს მხარს გაერთიანებული ერების ორგანიზაციას და მის განვითარებას საერთაშორისო თანაშრომლობისა და მართვის ეფექტიან ორგანიზაციად. ჩვენ დაუყოვნებლივ უნდა მივაღწიოთ საერთაშორისო განიარაღების მაღალ დონეს და შევიმუშაოთ ეფექტიანი საერთაშორისო კონტროლისა და ინსპექციის სისტემა, რათა შეეკმნათ ატომგულის თარიღის აკრძალვის შესაძლებლობანი“.

კონფერენციის 1 აგვისტოს საღამოს სხდომაზე გამოვიდა ცნობილი ინგლისელი ლეიბორისტი მოღვაწე კროსმანი. მან თავის სიტყვაში გააკრიტიკა ამერიკის „ძალის პოზიციის“ პოლიტიკა, აგრეთვე ამერიკის შეერთებული შტატების არამეზობლურებლური დამოკიდებულება ნეიტრალური ქვეყნებისადმი და მოუწოდა გააძლიერონ ეკონომიური დახმარება სუსტად განვითარებული ქვეყნებისათვის.

ამერიკის შეერთებული შტატების, ინგლისისა და საფრანგეთის ერთობლივი განცხადება

ლონდონი, 3 აგვისტო. (საკდესი). სუეცის არხის საკითხზე ამერიკის შეერთებული შტატების, ინგლისისა და საფრანგეთის საგარეო საქმეთა მინისტრების მოლაპარაკების დამთავრების შემდეგ აქ გამოქვეყნდა ერთობლივი განცხადება, რომელშიც, კერძოდ, ნათქვამია, რომ სამმა მთავრობამ „ცნობად მიიღო“ ეგვიპტის გადაწყვეტილება სუეცის არხის კომპანიის ნაციონალიზაციის შესახებ.

სამი მთავრობა „ადასტურებს, რომ ისინი „სადავოდ არ ხდიან ეგვიპტის უფლებას ისარგებლოს საკუთრებით სუეცრენული და დამოუკიდებელი ქვეყნის ყველა ატრიბუტით, მათ შორის საყოველთაოდ აღიარებული უფლებით მოახდინოს იმ ავუარების ნაციონალიზაცია შესაბამის პირობებში, რომლებიც ეკუთვნიან მის იურისდიქციას და რომლებსაც საერთაშორისო ხასიათი არა აქვთ“. მაგრამ მოლაპარაკების მონაწილეებს მიაჩნიათ, რომ სუეცის არხი „საერთაშორისო ინსტიტუტია“ და რომ მასზე არ შეიძლება გავრცელდეს ნაციონალიზაცია.

განცხადება შეიცავს მტკიცებას, რომ ეგვიპტის მთავრობის გადაწყვეტილება იმ პირობებში, რომლებშიც იგი მიღებული იყო, თითქოს „საფრთხეს უქმნის არხის თავისუფლებასა და უშიშროებას, რომლებიც გარანტირებულია 1888 წლის კონვენციით“.

სამ მთავრობას მიაჩნია, რომ „მიღებულ უნდა იქნას ღონისძიებანი, რათა საერთაშორისო რეჟიმის პირობებში დამყარდეს ისეთი მართვის ფორმები, რომლის მიზანი იქნება არხის მოქმედების მუდმივი უზრუნველყოფა იმ სახით, როგორც ამას 1888 წლის 29 ოქტომბრის კონვენცია უზრუნველყოფს“.

მოლაპარაკების მონაწილენი მოითხოვენ 15 აგვისტოს ლონდონში მოწვეულ იქნას კონფერენცია იმ ქვეყნების შემადგენლობით, რომლებმაც ხელი მოაწერეს კონვენციას და სხვა ქვეყნებისა, რომლებიც განსაკუთრებით არიან დაინტერესებულნი არხის გამოყენებით.

სამი სახელმწიფოს იმ ერთობლივი განცხადების დანართში, რომლის შინაარსი რეატერის საგენტომ გადასცა, ჩამოთვლილია შემდეგი ქვეყნები, რომლებიც გადაწყვეტილია მოწვეულ იქნან აღნიშნულ კონფერენციაზე: ეგვიპტე, საფრანგეთი, იტალია, ჰოლანდია, ესპანეთი, თურქეთი, ინგლისი, საბჭოთა კავშირი, ავსტრალია, ცეილონი, დანია, ეთიოპია, გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკა, საბერძნეთი, ინდოეთი, ინდონეზია, ირანი, იაპონია, ახალი ზელანდია, ნორვეგია, პაკისტანი, პორტუგალია, შვეცია და შეერთებული შტატები.

ეგვიპტიდან გააძევეს ინგლისის გაზეთის ორი კორესპონდენტი

კაირო, 2 აგვისტო. (საკდესი). „იეგიპშეს გაზეთის“ ცნობით, ეგვიპტის შინაგან საქმეთა სამინისტრომ განკარგულება გასცა გაძევებულ იქნან ეგვიპტიდან ლონდონის გაზეთ „დეილი ექსპრესის“ კორესპონდენტები სეფტონ დელმერი და ნურ ედ-დინ აბდელ ჰადი.

არაბეთის საინფორმაციო საagენტოს ცნობით, როგორც ოფიციალურად იუწყებიან, ორივე ჟურნალისტი გაძევებულია იმისათვის, რომ ისინი სამხედრო ინფორმაციას გზავნიდნენ და ამით ზიანს აყენებდნენ ეგვიპტის უშიშროებას. ორივე კორესპონდენტმა დატოვა ეგვიპტე.

საბჭოთა კავშირის სამხედრო ხომალდების მეგობრობის ვიზიტი დანიაში

ბალტიისკი (კალინინგრადის ოლქი), 1 აგვისტო. (საკდესი). დღეს განთიადისას მეგობრობის ვიზიტით დანიაში გაემგზავრნენ კრეისერი „ორჯონიკიძე“, საესკადრო ნაღმოსნები „სტერეგუტელნი“ და „სოკრუშიტელნი“. საბჭოთა კავშირის სამხედრო ხომალდების რაზმი მიდის ბალტიის ფლოტის სარდლის ადმირალ ა. გ. გოლოვკოს ალმით.

სგუდენგთა საერთაშორისო სემინარი ღუბროვნიკში

ბელგრადი, 2 აგვისტო. (საკდესი). როგორც ტანიუგის საagენტო იუწყება, 1 აგვისტოს ღუბროვნიკში გაიხსნა სტუდენტთა საერთაშორისო სემინარი, მიძღვნილი სახელმწიფოთა მშვიდობიანი თანაარსებობის საკითხისადმი. სემინარის მუშაობაში მონაწილეობს 21 ქვეყნის 70-ზე მეტი სტუდენტი. სემინარზე ლექტორებად არიან იუგოსლავიის თვალსაჩინო სახელმწიფო და პოლიტიკური მოღვაწეები. სემინარის მონაწილეებს წაეკითხებათ მთელი რიგი ლექციები თანაარსებობის სხვადასხვა პოლიტიკური, ეკონომიური, კულტურული და სამართლებრივი ასპექტებით.

ინდოეთის შრომის მინისტრის გამოსვლა

დელი, 2 აგვისტო. (საკდესი). როგორც ინდოეთის საინფორმაციო ბიურო იუწყება, ინდოეთის შრომის მინისტრმა ჭანდუბჰაი დესაიმ, რომელიც დელის რადიოთი გამოვიდა, განაცხადა: „ჩვენ გადავდგით ახალი ნაბიჯი სახელმწიფო სოციალური კეთილდღეობის შექმნის ჩვენი გეგმის განსახორციელებლად“.

1956 წლის 31 ივლისამდე, თქვა მან, მუშათა დაზღვევის ფონდების 1952 წლის კანონი ვრცელდებოდა მრეწველობის ექვსი დარგის საწარმოებზე და მოიცავდა 1.600 ათასამდე მუშა-მოსამსახურეს, ახლა კი იგი გავრცელდება მრეწველობის კიდევ 14 დარგის მუშებზე, ე. ი. დამატებით მოიცავს 400 ათას მუშას.

მინისტრმა ხაზგასმით აღნიშნა, რომ მთავრობა მიზნად ისახავს დაზღვევის ფონდების კანონი შეძლებისდაგვარად გაავრცელოს ყველა მუშაზე, მათ შორის პლანტაციებისა და კომერციული საწარმოების მუშებზე.

შეეხო რა მუშათა და მოსამსახურეთა სახელმწიფო დაზღვევის 1948 წლის კანონს, დესაიმ განაცხადა, რომ ეს კანონი უკვე უზრუნველყოფს დახმარების გაწევას ავადმყოფობის, დროებითი და მუდმივი არაშრომისუნარიანობის, ორსულობისა და სხვა შემთხვევებში 30 ძირითადი სამრეწველო ცენტრის 1 მილიონზე მეტი სამრეწველო მუშისათვის და რომ ყურადღება ექცევა სხვა რაიონებზე მის შემდგომ გავრცელებას.

მთავრობის კრიზისი ჰოლანდიაში

ჰაააგა, 2 აგვისტო. (საკდესი). მთავრობის კრიზისი ჰოლანდიაში ძალიან გაჭიანურდა. პარლამენტის არჩევნები გაიმართა თითქმის 7 კვირის წინათ, მაგრამ ახალი მთავრობა ჯერაც არ არის შედგენილი. სახალხო კათოლიკური პარტიის ლიდერმა რომეგ, რომელსაც დავალებული ჰქონდა კაბინეტის შედგენა შრომის პარტიის ლიდერის დრეისის უშედეგო ცდის შემდეგ, გუშინ აგრეთვე უარი განაცხადა ამ ამოცანის შესრულებაზე. მის მიერ წამოყენებული პროგრამა უარყო შრომის პარტიამ.

სსრ კავშირის ხალხთა სპარტაკიადა

პირველი ჩემპიონები

მოსკოვი, 2 აგვისტო. („კომუნისტის“ სპეც. კორ.). რამდენიმე დღის საინტერესო ბრძოლის შემდეგ დედაქალაქის „დინამოს“ სტადიონზე დღეს დამთავრდა მოძმე რესპუბლიკების ფრენბურთელ ქალთა და ვაჟთა ნაკრები კოლექტივების შეჯიბრება. როგორც ცნობილია, დასაწყისში შეხვედრები მიმდინარეობდა ჯგუფების მიხედვით, რის შემდეგ დაკომპლექტდა ფინალური ჯგუფები. მათ შორის შეჯიბრება განსაკუთრებული სიმძაფრით ხასიათდებოდა და უკანასკნელ დღემდე გამოურკვეველი იყო, ვინ იქნებოდა სსრ კავშირის ჩემპიონი და ხალხთა სპარტაკიადაში გამარჯვებული.

დღეს გაიმართა უკანასკნელი შეხვედრები. ქალთა გუნდებს შორის ჩემპიონის გამოსავლენებლად გადამწყვეტი მნიშვნელობა ჰქონდა მოსკოვისა და უკრაინის გუნდების მატჩს. ეს შეჯიბრება დამთავრდა დედაქალაქის ფრენბურთელთა გამარჯვებით 3:0. ამავე დღეს პირველ ფინალურ ჯგუფში შედგა კიდევ ორი ასპარეზობა. ლატვიის გუნდმა მოუგო საქართველოს სპორტულ კოლექტივს 3:1, ლენინგრადელ ფრენბურთელებმა რსფსრ გუნდს 3:0.

ამრიგად, მოსკოვის ფრენბურთელი ქალთა გუნდი, რომელმაც ყველა წესჯიბრება მოიგო, სსრ კავშირის 1956 წლის ჩემპიონი და ხალხთა სპარტაკიადაში გამარჯვებული გახდა. საქართველოს ქალთა გუნდმა მეექვსე ადგილი დაიმკვიდრა. დაუმარცხებლად ჩაატარა შეჯიბრება უკრაინის ვაჟთა ახალგაზრდა და ძლიერმა ლექტივმა. დღეს მან უკანასკნელი მატჩი ასპარეზზე ლატვიის გუნდთან მოიგო 3:1 და სსრ კავშირის ჩემპიონი და ხალხთა სპარტაკიადაში გამარჯვებული გახდა. საქართველოს ვაჟთა გუნდმა, რომელიც მეორე ფინალურ ჯგუფში იყო, ... წააგო ლატვიის გუნდთან 0:3 და მეათე ადგილი დაიკავა.

დღეს საღამოს გაიმართა ფრენბურთელთა ... რადიო. გამარჯვებულებს საზეიმოდ გადეცემოდა თასები, დიპლომები და მედლები.

მრავალდღიანი ველოკროსი

ორშა, 3 აგვისტო. (ტელეფონით „კომუნისტის“ სპეც. კორ.). სსრ კავშირის მრავალდღიანი ველოკროსის ფინიშამდე რამდენიმე ეტაპია დარჩა. სსრ კავშირის ხალხთა სპარტაკიადის გახსნის დღეს — 5 აგვისტოს სპორტის ათეულ ათასობით მოყვარული შეეგებება გამარჯვებულთ მოსკოვის ვ. ი. ლენინის სახელობის ცენტრალურ სტადიონზე. პრიზიორებს გადაეცემათ ჯილდოები.

გუშინ სპორტსმენებმა გაიარეს მე-12 ეტაპი: მინსკი — ორშა, რომლის დისტანცია 226 კილომეტრი იყო.

ბრძოლა ამ ეტაპზე საინტერესო გამოდგა. ამას ისიც მოწმობს, რომ პირველ საათში სპორტსმენებმა გაიარეს 45,5 კილომეტრი. ფინიში მოწყობილი იყო ორშის საქალაქო სტადიონზე. ამ ეტაპზე გამარჯვებული გამოვიდა რსფსრ გუნდის წარმომადგენელი ლუკშინი, რომელმაც დისტანცია გაიარა 5 საათი 6 წუთისა და 6 წამში. საშუალო სისწრაფე 43,04 კილომეტრს, რაც ... თესო შედეგად ითვლება. მეორე ადგილი ... კავა ფილიპოვმა (კარელიის ასსრ).

მე-12 ეტაპზე გუნდური პირველი ... ქართველოს გუნდმა ამ ეტაპზე სხვა გუნ... თან ერთად გაიყო 9-15 ადგილები.

12 ეტაპის დროის ჯამით ველოკროსს ... დერია კაპიტონოვი (მოსკოვი). გუნდურ ... ვლაში კვლავ წინ არის დედაქალაქი ... მრბოლთა კოლექტივი.

დღეს სტარტი მიეცა მე-13 ეტაპს მარშრუტით ორშა-სმოლენსკი.



ზუგდიდი. ბოტანიკურ ბაღში.

ფოტო გ. გოგოხია...

★

აჭარის ხალხური სიმღერისა და ცეკვის ანსამბლი ზუგდიდში

ზუგდიდი. (საკ. კორ.). სახელმწიფო ... მატულ თეატრში კონცერტი გამართა აჭ... ასსრ სიმღერისა და ცეკვის სახელმწიფო ... სამბლმა (სამხატვრო ხელმძღვანელი ... ასსრ დამსახურებული არტისტი მ. ჩხვ... ლი, ქორეოგრაფი აჭარის ასსრ დამსახურ... ლი არტისტი კ. ხაბაძე, დირიჟორი მ. ... ანსამბლმა შეასრულა ქართული ხალ... სიმღერები, აგრეთვე ცეკვები „ჩორუნა“, „დგან“, „ლაზური“, „ქართული“ და სხვ. კონცერტს დაესწრო მრავალი მაყურებელ...

რედაქტორი გ. ფირცხალავა

სსრ კავშირის ხალხთა სპარტაკიადა — ეროვნული ოლიმპიადა

დაიწყო ფეხბურთელთა მატჩები

მოსკოვი, 2 აგვისტო. („კომუნისტის“ სპეც. კორ.). დღეს დაიწყო მოძმე რესპუბლიკების ფეხბურთელთა ნაკრები გუნდების შეჯიბრება. სპარტაკიადაში გამარჯვებულის წოდების მოსაპოვებლად იბრძვის 18 გუნდი. რსფსრ რესპუბლიკიდან გამოვიდა 4 გუნდი — მოსკოვის, ლენინგრადის, რსფსრ მხარეებისა და ოლქების ნაკრები და კარელიის გუნდი. მატჩები გაიმართება 6 სტადიონზე. სულ შედგება 37 მატჩი. ფინალური ასპარეზობა მოეწყობა 16 აგვისტოს.

დედაქალაქის ნაკრები გუნდი დაკომპლექტებულია ჩვენი ქვეყნის სახელმოხვეჭილი ფეხბურთელებით. მათ შემადგენლობაში შედიან „სპარტაკის“, „დინამოს“, „ტორპედოსა“ და „ცსკა“-ს უძლიერესი ფეხბურთელები. საქართველოს გუნდი პირველ მატჩს ჩაატარებს 4 აგვისტოს მოლდავეთის გუნდთან.

დღეს „დინამოს“ სტადიონზე გაიმართა პირველი შეხვედრა. თამაშობდნენ აზერბაიჯანისა და ლატვიის გუნდები. შეჯიბრება დამთავრდა აზერბაიჯანის ფეხბურთელთა გამარჯვებით ანგარიშით 5:1.

მოსკოვი. 3 აგვისტო. დღეს აქ გაიმართა მორიგი შეხვედრები ფეხბურთში სსრ კავშირის ხალხთა სპარტაკიადის პირველობაზე. ლიტვის ნაკრებმა ანგარიშით 1:0 დამარცხა ესტონეთის გუნდი, ასეთივე ანგარიშით ბელორუსიის ფეხბურთელებმა დამარცხეს ყირგიზეთის სპორტსმენები, სომხეთის გუნდმა მოუგო ტაჯიკეთის ნაკრებს ანგარიშით 3:0.

სტუმრები სსრ კავშირის ხალხთა სპარტაკიადაზე

მოსკოვი, 3 აგვისტო. (ტელეფონით „კომუნისტის“ სპეც. კორ.). სსრ კავშირის ხალხთა სპარტაკიადაზე, რომელიც 5 აგვისტოს საზეიმოდ გაიხსნება მოსკოვში, მოწვეულია მრავალი სტუმარი საზღვარგარეთიდან და ათასობით ტურისტი ჩვენი ქვეყნის სხვადასხვა კუთხიდან.

მთელი რიგი ქვეყნების სპორტსმენები უკვე დედაქალაქში არიან, ეცნობიან სპარტაკიადის ღონისძიებებს, ესწრებიან წინასწარ შეხვედრებს, ათვალიერებენ ახალ სტადიონს — სპორტულ ქალაქს. სხვადასხვა ქვეყნის სპორტსმენებთან ერთად სპარტაკიადას დაესწრებიან საერთაშორისო სასპორტო ორგანიზაციების წარმომადგენლები.

მოსკოვში უკვე ჩამოვიდა ჩვენი ქვეყნის 4 ათასამდე ტურისტი. ისინი დაესწრებიან ხალხთა სპარტაკიადას.



მცხეთის საერთო ხედი. ფოტო შ. გოქაძისა.

სად გავატაროთ კვირადღე

მცხეთა

ქვით და შემკობილია გასაოცარი სილამაზის ქართული ორნამენტითა და ჩუქურთმით. მას გარშემო აქვს უზარმაზარი გალავანი გოდლებით, სათოფურებით, ლამაზად აგებული ჭიშკრით. ტაძარში შერჩენილია XVII—XVIII საუკუნეების მოხატულობა.

სვეტიცხოვლის ჩრდილო-დასავლეთით ნახევარ კილომეტრ მანძილზე მდებარეობს XI საუკუნეშივე აგებული ტაძარი, ეგრეთწოდებული „სამთავრო“. არის თქმულება, რომ ამ ადგილას სასახლის ბაღის მაყვლოვანში ცხოვრობდა საქართველოს განმანათლებელი ნინო. ამ ტაძრის დათვალიერებისას უურადღებას იპყრობს მისი გარეგანი მოპირკეთება, მხატვრული ჩუქურთმა ქვაზე, ულამაზესი ორნამენტი. აქ დაკრძალული არიან პირველი ქრისტიანი ქართველი მეფე მირიან და დედოფალი ნანა (IV საუკუნე).

სვეტიცხოვლის ტაძრის ახლოს, მდინარე არაგვის პირას უძველესი ბაზილიკის — „ანტიოქიის ტაძრის“ ნანგრევებია, ხოლო მათ პირდაპირ, არაგვისა და მტკვრის შესართავთან საგურამოს ქედის ერთ-ერთ ყველაზე მაღალ წვერზეა მცხეთის უძველესი ნაგებობა „ჯვარი“, VI საუკუნის დიდებული არქიტექტურული ძეგლი, რომელსაც მსოფლიო ხელოვნების ყველაზე გამოჩენილ ნიმუშებს მიაკუთვნებენ. როგორც ცნობილია, ამ ტაძრის ნახვამ შთააგონა დიდ რუს პოეტს მ. ი. ლერმონტოვს დაეწერა თავისი მშვენიერი პოემა „მწირი“.

მცხეთას დიდი ისტორიული წარსული აქვს. აქაურ მიდამოებს უნახავთ რომაელი მხედართმთავარი პომპეუსი, უცხოელი დამპყრობნი მურვან ყრუ, თემურ-ლენგი, შაჰ აბასი, აღა მამადხანი და სხვ.; აქ უსამართლობის წინააღმდეგ იბრძოდა არსენა ოძელაშვილი.

გარდა მრავალი ძვირფასი ისტორიული ნაშთისა, მცხეთა გამოირჩევა თავისი ლამაზი მდებარეობით, გრილი ჰაეროთ და ცნობილია როგორც ერთ-ერთი სააგარაკო ადგილი. იგი მდებარეობს მტკვრისა და არაგვის შესართავთან, გარშემო მთის კალთები დაფარულია ფოთლოვანი ტყით. აქ მოწყობილია ტურისტული ბაზა და ბევრი პიონერთა ბანაკი.

საინტერესოა თანამედროვე მცხეთაც. თბილისიდან მიმავალ გზაზე ექსკურსანტს შეუძლია დაათვალიეროს რესპუბლიკის ინდუსტრიის პირმშო — ზემო ავჭალის ჰიდროელექტროსადგური. რაიონის ცენტრშია მხარეთმცოდნეობის მუზეუმი. საწარმოებიდან აღსანიშნავია ასანთის ფაბრიკა, კერამიკული კომბინატი, შამპანური ღვინის ქარხანა, რომელსაც 300 ჰექტარზე საკუთარი ბაღებთა მეურნეობა აქვს წეროოვანში და სხვ.

ყოველივე ეს მრავალ დამსვენებელსა და ტურისტს იზიდავს არა მარტო რესპუბლიკიდან, არამედ ჩვენი ქვეყნის ყოველი კუთხიდან და უცხოეთიდანაც კი. მცხეთა თბილისელი მშრომელებისათვის ერთ-ერთი საყვარელი დასასვენებელი ადგილია. აქ განსაკუთრებით კვირადღეობით უამრავი ორგანიზებული და არაორგანიზებული ეკურსიანტი ჩამოდის. უქმე დღეებს აქ ატარებს აგრეთვე ბევრი ოჯახიც.

ორიოდე სიტყვა ექსკურსანტთა და დამსვენებელთა მომსახურების შესახებ.

მცხეთაში დასათვალიერებელი ადგილები, რომელთა ნახვის მსურველი მრავალია, ერთმანეთს საკმაოდ დიდი მანძილით არიან დაშორებული. მაგრამ ეს აქ სრულიად არ არის გათვალისწინებული. ქალაქში არ მუშაობს არცერთი ავტობუსი, რომელიც ჩასულ მშრომელებს ამ მიზნით მოემსახურებოდა. საჭიროა კვირაობით მუშაობდეს რამდენიმე სპეციალური ავტობუსი, რომლებთაც ჩამოსულ მშრომელებს შეეძლებათ ღირსშესანიშნავ ადგილებამდე მისვლა. გარდა ამისა, გამოყოფილი უნდა იყოს რამდენიმე მუშაკი მნახველებისათვის განმარტებათა მისაცემად.

გამწვანების მიზნით აქ საკმაო მუშაობაა გაწეული. მტკვრის ნაპირზე დარგულია ალვისხეები და სხვა დეკორაციული მცენარეები. რაიონის ცენტრის სხვადასხვა ადგილას მოწყობილია პატარა პარკები. მშრომელებს განსაკუთრებით უყვართ მტკვრის ნაპირზე ლამაზ ფერდობზე გაშენებული პარკი, სადაც ქართველი ხალხის ლეგენდარული გმირის არსენა ოძელაშვილის ძეგლი დგას. მაგრამ ამ ადგილს აკლია კეთილმოწყობა. არ არის სკამები. არ ეწყობა არავითარი მასობრივი გასართობი ღონისძიებანი. კულტურის სახლთან არსებულ პარკში მხოლოდ ახლა მიმდინარეობს საზაფხულო ესტრადის მშენებლობა.

მთელ რესპუბლიკაში ცნობილია მცხეთის წყალჯამარდობის სადგური, რომელსაც არაჩვეულებრივად მოხერხებული მდებარეობა აქვს. წინათ აქ სისტემატურად ეწყობოდა შეჯიბრებები. ამჟამად კი თითქმის არავითარი მუშაობა არ წარმოებს. პლაჟი და წყლის საგუბარი გასაწმენდია.

რაიონში მუშაობს ორი რესტორანი, ამდენივე სასადილო, აგრეთვე ავჭალიონი, მაგრამ დამსვენებელთა მომსახურება მაინც არადამაკმაყოფილებელია. დასათვალიერებელ ღირსშესანიშნავ ადგილებთან, სადაც უფრო დიდი ხნით ჩერდებიან ექსკურსიები და დამსვენებლები, მოწყობილი არ არის კვების პროდუქტების კიოსკები. აქ, თუ რესტორანში არა, ვერსად ვერ იშოვნით ლუდს, ლიმონათს, სრულიად არ არის გამაგრილებელი და მინერალური წყლები, ნაყინი, ნაკლებად არის საკონდიტრო ნაწარმი. ეს არც თუ ისე ძნელი მოსაგვარებელი იქნებოდა, სათანადო ორგანიზაციებს თავის დროზე რომ ეზრუნათ. მცხეთაში სასურველია მოეწყოს მოძრავი და დატარებითი ვაჭრობა.

საჭიროა ყველაფერი გაკეთდეს იმისათვის, რომ მცხეთა მშრომელთა კეთილმოწყობილ დასასვენებელ ადგილად გადაიქცეს.

ნინო მშველიძე,
ეთერ მამალაძე.

УЦ 03691 პოლიგრაფიული კომბინატი „კომუნისტი“, ლენინის ქ. № 14.

დღეს
თბილისის კინოთეატრებში

რუსთაველის სახელობის. ისანი (საზამთრო და საზაფხულო), **ორჯონიკიძის სახელობის პარკი,** პლეხანოვის სახელობის კლუბი — რიასვეი ალი, **ამირანი** (საზამთრო და საზაფხულო), **სპარტაკი, 26 კომისრის სახელობის** (საზამთრო), **კოლმეურნე, კომუნარების ბაღი, გორკის სახელობის კულტურის სახლი** — ქუთელას ბილიკით, **ოქტომბერი, ფილარმონიის ბაღი, თბილისი, ვოროშილოვის სახელობის კლუბი** — შეხვედრა, **კომკავშირელი, ძერჟინსკის სახელობის კლუბი** — ძვირფასი საჩუქარი, **კოლხიდა** (საზამთრო), **კიროვის სახელობის პარკი** — ერთი ჭიქა ლუდი, **კოლხიდა** (საზაფხულო), **დიდუბე** (საზამთრო) — სასტუმროს შეკრიბა, **ოფიცერთა სახლი, მილიციის სამმართველოს ძერჟინსკის სახელობის საზაფხულო კლუბი** — გადარეული დღე, **26 კომისრის სახელობის** (საზაფხულო) — ჩემი ქალიშვილი ვენაში ცხოვრობს.

მეუღლე მიხეილ, შვილები მარო, ბესარიონ, რძალი ვერა მარგალიტაძე, სიძე ს. თოდუა და შვილიშვილები იუწყებიან
მაშა გუგუჩია-ჩახაიას
გარდაცვალებას. დაკრძალვა 7-VIII სოფელ კახათში (ზუგდიდის რ.).

დედა ეთერ, მამა მურმან ქარსელაძეები ოჯახით იუწყებიან პატარა
მერაბ მურმანის-ძე ქარსელაძის
გარდაცვალებას. პანაშვიდი 4-VIII, 8 ს. გამოსვენება 5-VIII, 5 ს. ორჯონიკიძის ჩიხი № 5.

მეუღლე ნინო, შვილი ოთარ, ძმა ალექსანდრე, და ლიპა ოჯახებით და ნათესავებით იუწყებიან
შალვა მერაბის-ძე წერეთლის
გარდაცვალებას. პანაშვიდი 4-VIII, 8 ს. გამოსვენება 5-VIII, 5 ს. ფურცელაძის ქ. № 12.

მეუღლე ირინე, შვილები ლიდა, ზინა, ... ქეთო, ძერი, ქსენია, ვენერა, პანტელეიმონ, რძალი ლეილა, სიძეები ი. გიგიბერია, მ. ... ქელაძე, შ. ნიკოლაიშვილი, ვ. ხვიჩია, ... ცქვიტარია იუწყებიან
მაკარ ბეჩუნიას-ძე ბუალავას
გარდაცვალებას. დაკრძალვა 5-VIII სოფელ ზემო სორტაში (ცხაკაიას რ.).

მამა პორფილე, მეუღლე ეორეი, შვილები ნოდარ, მაყვალა, სულიკო, გენო, და ... ძმები ნიკოლოზ, ინდიკო, რძლები ქეთო, ... ნა, სიძეები პაპუნე, მურმან, ვლადიმერ ... ხებით და ნათესავებით იუწყებიან
ანიჩკა პორფილეს ასულ ფაილოძე-ძიძიგურის
გარდაცვალებას. დაკრძალვა 7-VIII, სოფელ მათხოჯში (წულუკიძის რაიონი).

მეუღლე სოფიო, შვილები მარიამ, ანა, ნინო, ნიკოლოზ, რძალი ნინო, სიძეები გ. მეძმარაშვილი, ვ. ყანჩელი, შ. კვიტაშვილი და ... ლაშვილები იუწყებიან
გიორგი ზაქარიას-ძე მაისურაძის
გარდაცვალებას. პანაშვიდი 4-VIII, 8 ს. ... მოსვენება 5-VIII, 3 ს. ბელინსკის ქ. № 11.

ნადია, შალვა ჩხარტიშვილები, მარიამ, ... როზა, გიორგი, სამა ტარპაიძეები შვილებ... იუწყებიან სიძის
ამბერკი ილარიონის-ძე სამსონაძის
გარდაცვალებას. პანაშვიდი 4-VIII, 8 ს. ... მოსვენება 5-VIII, 3 ს. მელიქიშვილის ... № 11.

შვილები ვასო, თამარ, გალინა, ძმები ... თე, ლადო, რძალი ... ულია, სიძე გ. ... შვილი ოჯახებით იუწყებიან
ნეოფიტე დიმიტრის-ძე აგლაძის
გარდაცვალებას. პანაშვიდი 4-VIII, 8 ს. ... მოსვენება 5-VIII, 5 ს. პლეხანოვის პრ... № 48.

საქართველოს ეთერზეთის ტრესტის თანამშრომლები იუწყებიან
სიმონ თომას-ძე შავდიას
გარდაცვალებას.